

სასწავლო წელი დაიწყო

A3



არასტატისტიკური გრძნობები

A8



"ფორდი" დიდ შემცირებას იწყებს

B1

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 19 სექტემბერი, 2006 წელი. №206 (1358) — ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 19/09 | 20/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | 26 |
| ბათუმი | 28 | 29 |
| სოხუმი | 29 | 28 |
| ქუთაისი | 30 | 31 |
| გორი | 22 | 24 |
| თელავი | 23 | 25 |
| ონი | 19 | 21 |
| ზუგდიდი | 32 | 32 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7420 |
| ევრო | 2.2080 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2805 |
| რუბლი | 0.0650 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| რევიუ | A 4 |
| ტენდერი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# არჩევნები

## რეკლამისათვის და რეკლამა არჩევნებისთვის

რისთვის იბრძვიან 5 ოქტომბრის არჩევნებში?

თამარ ასათიანი

*გამარჯვებისკენ ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა და დაბნეული და უსუსური ქართული ოპოზიციური სპექტრი - სწორედ ასე შეიძლება დავახასიათოთ ის პოლიტიკური ფონი, რომელიც საკრებულოების არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრეა ქვეყანაში შექმნილი. არადა, პირველად ბოლო რვა წლის განმავლობაში უკვე გამოიკვეთა ქართული თვითმმართველობის კონტურები და, შესაბამისად, საკრებულოების ბუნდოვან უფლება-მოვალეობებს შედარებით კონკრეტული სახე მიეცა. ამ გარემოებას კი, შესაძლოა, პოლიტიკურ სივრცეში სერიოზული ორთაბრძოლის ახალი არენა შეექმნა, რომ არა ის პოლიტიკური უმწიფრობა, რომელიც ოპოზიციამ ბევრისთვის მოულოდნელად გამოავლინა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ოპოზიციის წარუმატებლობამ - გაერთიანებულიყვნენ, თითქმის წინასწარ განსაზღვრა მომავალი არჩევნების შედეგები.

ინტერპრესნიუსი

# თბილისის შვილი თავის ცივილიზაციას ქმნის ბაღდადში

**დაუდ ფაშა**

გრიგორი კაკლიანი

ბაბილონური ბაღდადი, სამყაროს დედა და ოცნებათა სამეფო. მან მისცა მსოფლიოს ცივილიზაციის საწყისები, თუმცა ამ კულტურას დიდი საფრთხე შეექმნა. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართველ ქულემენთა (მამლუქთა) ძალაუფლება დამყარდა, რომლებიც თავიანთი სამწყსოს ოსმალეთის იმპერიისგან მაქსიმალურ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მის სისრულეში მოსაყვანად. მათი მმართველობის მთელი პერიოდი ოსმალეთის იმპერიის მიმართ ფარული თუ აშკარა წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. ყოველივე ამან ზენიტს ერაყის ბოლო ქართველი ქულემენი გამგებლის - დაუდ-ფაშას (1818-1831 წწ.) მმართველობის პერიოდში მიაღწია.

ერაყის საფაშოს ბოლო ქულემენი გამგებლი დაუდ-ფაშა დაიბადა ქვემო ქართლში, თავად ორბელიანის ყმის, ღარიბი გლეხის გიორგი მანველაშვილის ოჯახში დაახლოებით 1774 წელს. დავითი სულ ხუთი თუ ექვსი წლისა იყო, როდესაც ქუჩაში სათამაშოდ გამოსული ტყვეებით მოვაჭრე მარბიელებმა მოიტაცეს და ოსმალეთში გაყიდეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "ფეროში" ხმაურით დაწყებული სკანდალი უხმაუროდ სრულდება

**B**

*სს "გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" ირგვლივ გასული წლის ბოლოს დაწყებული ხმაურიანი სკანდალი უხმაუროდ სრულდება. საწარმოს აქციონერებს - "DCM დეკომეტალსა" და "ფეროს" ფაქტობრივ მმართველებს - კოკაია-კაპანაძეს შორის წარმოშობილი დავა, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყდა. საქართველოს მთავრობასთან საერთო ენის გამოძებნა კოკაია-კაპანაძის ტანდემმა ბრიტანული კომპანია "სტემკორის" (STEMCOR) საშუალებით მოახერხა, რომელსაც მათ "ფეროს" აქციები მიმალვაში ყოფნის დროს 30 მილიონ დოლარად მიჰყიდეს. კომპანია "სტემკორთან" საქართველოს მთავრობამ მემორანდუმი უკვე გააფორმა.*



# პუტინი მანამდე შეაქებს იუშჩენკოს, ვიდრე "გაზპრომი" უკრაინაში ღრმად არ შეიჭრება

ვლადიმერ სოკორი

ბოლო ხანებში ხშირად ისმის საქებარი სიტყვები რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მხრიდან უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს მისამართით, რაც მიმართულია იქითკენ, რომ "გაზპრომსა" და "როსუკრენერგოს" შორის ხელშეკრულების გაფორმება მოხდეს. პრეზიდენტმა პუტინმა ნოვო აგარევოში შეკრებილ დასავლელ ექსპერტთა ჯგუფის წინაშე ვიქტორ იუშჩენკოზე განაცხადა: **"ის სწორად მოიქცა, როცა ასეთი ნაბიჯი გადადგა. მან დაამტკიცა, რომ სერიოზული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პოლიტიკოსია და არ ჩაუღრმავდა დეტალებს."** პუტინის მიერ უკრაინის პრეზიდენტის ქება შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც საპასუხო ქმედება იუშჩენკოს მიმართ. რვა თვის წინ გაზის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იუშჩენკომ რუსეთის პრეზიდენტის შესაქებად ისეთი სიტყვები იხმარა, როგორიც არის "დახმარება" და "სიბრძნე".

ნათელი იყო, რომ 4 იანვრისა და 2 თებერვლის ხელშეკრულებები მიზნად ისახავდა უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემასთან დაკავშირებით ახალ ეტაპზე გადასასვლელად რუსეთისათვის ბაზის მომზადებას. მოქმედებისათვის მოსკოვს სამი სახის იარაღი უნდა გამოეყენებინა: პირველი, მანიპულირება თურქმენეთის გაზის მარაგით უკრაინაში, მეორე, რუსეთის მიერ მიწოდებული გაზის სანაცვლოდ უკრაინის აქტივების მითვისება და, მესამე, უკრაინის გალატაკებული ენერგოსისტემის იძულება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისათვის რუსი ინვესტორები მოიწვიოს. ეს კი, შედეგად, დაამყარებს რუსეთის კონტროლს ტრანსპორტირებაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უმუშევარი ხელისუფლება

*რესპუბლიკური პარტიის გორის ორგანიზაცია მმართველი პარტიის კანდიდატებს უფლებამოსილების შეუთავსებლობაში ადანაშაულებს. პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა შალვა ტლაშაძემ ამ საკითხს საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა. მისი განცხადებით, გორის N32 საოლქო საარჩევნო კომისიაში არ დევს დოკუმენტები, რომლებიც დაადატურებს, რომ "ნაციონალების" მიერ წარდგენილ კანდიდატებს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვთ.*

თეა თედლიაშვილი

არჩევნებში მონაწილეობას შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები გია მჭედლიძე და მარლენ ნადირაძე, პარტიის სიებით იყრიან კენჭს. "რესპუბლიკელები" აცხადებენ, რომ გია მჭედლიძე, როგორც რწმუნებულის მოადგილე, ბოლო დრომდე შეხვედრებს ატარებს შიდა ქართლის სხვადასხვა რაიონებში.

**"არსებობს ვიდეომასალა და ამ ბრალდებას ვერ დაემალებიან, ტელევიზიით გადის სიუჟეტები, სადაც გია მჭედლიძე ხალხს ხვდება, როგორც რწმუნებულის მოადგილე,"** - ამბობს ტლაშაძე.

რესპუბლიკელების უკმაყოფილებას იწვევს "ნაციონალების" მიერ გორში მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენილი ვასილ მახარაშვილი და ტყვიავში წარდგენილი სევერიან ქარელი. ორივე მათგანი სამხედრო მოსამსახურეა და, შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის თანახმად აუცილებელია შეწყვეტილი ჰქონდეთ სამსახურებრივი უფლებამოსილება.

გორის N32 საოლქო საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ არ არის აუცილებელი საოლქო კომისიამ მოითხოვოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პიროვნებას სამსახურებრივი უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვს.

**"კანდიდატები ჩვენთან ავსებენ სააღრიცხვო ბარათს, სადაც უთითებენ, რომ არიან უმუშევრები. ჩვენ მათ ვატარებთ რეგისტრაციაში, თუ ვინმეს გაუჩნდება პრეტენზია და მოგვმართავს განცხადებით, ჩვენ ამ შემთხვევაში მოვთხოვთ კანდიდატს შესაბამის დოკუმენტს. არ არის აუცილებელი აქ გვქონდეს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პიროვნებას სამსახურებრივი უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვს. ჩვენთან რესპუბლიკელები განცხადებით არ შემოსულან,"** - ამბობს გორის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გიორგი ხორბალაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "კანონიერი ქურდისთვის" ჩამორთმეული დაუსაბუთებელი ქონება

გუშინ, წყნეთში გაიჩხრიკა ცნობილი "კანონიერი ქურდის" შაქრო კალაშოვის ფეშენებლური აგარაკი. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები და ექსპერტები კარგა ხნის განმავლობაში აღწერდნენ კალაშოვის ქონებას, რის შემდეგაც აგარაკი დაილუქა კიდეც. საქმე ისაა, რომ სამართალდამცველებმა შაქრო კალაშოვს წყნეთში მდებარე სახლი ჩამოართვეს. სამართალდამცველთა განცხადებით, "კანონიერი ქურდისთვის" ჩამორთმეული დაუსაბუთებელი ქონება სახელმწიფოს გადაეცემა. მართალია ჯერჯერობით კალაშოვის უძრავი ქონების ღირებულება დადგენილი არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი 30 მილიონ დოლარს აღწევს. გავრცელებული ინფორმაციით, 72-ოთახიანი სახლი და ეზო დაახლოებით 8 ჰექტარს მოიცავს. სავარაუდოდ, კალაშოვის კუთვნილებაა იქვე მდებარე ტყის სოლიდური ფართობიც.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, კალაშოვის ოთხსართულიანი, 72-ოთახიანი სახლი აღჭურვილია თანამედროვე უსაფრთხოების დამცავი სისტემებით, სახლის თავზე მოწყობილია ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი, რომელიც დაცულია ტყვიაგაუმტარი მინებით, სახლის ქვემოთ კი საიდუმლო გვირაბია გათხრილი.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში შაქრო კალაშოვის წყნეთის აგარაკთან დაკავშირებით, დაკითხვაზე წყნეთის ყოფილი გამგებელი გოგა ოძელი მიიყვანეს. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოძელის გარდა, წყნეთის სხვა ყოფილი გამგებლები და მათი მოადგილეებიც დაიკითხნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

## დაკავება ქრთამის აღების ფაქტზე

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თერაპიული განყოფილების უფროსი პეტრე ზვიადაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.

პეტრე ზვიადაძემ, რომელიც აღნიშნულ სისტემაში 30 წლის განმავლობაში მუშაობდა, ერთ-ერთი მსჯავრდებულის ახლობელს ქრთამის სახით გამოსძალა 150 ლარი, იმ მოტივით, რომ უზრუნველყოფდა მსჯავრდებულის ყოფნას სამკურნალო დაწესებულებაში.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯანმრთელი პატიმრების დაწესებულებაში დასატოვებლად დაწესებული იყო ყოველთვიური "სტავკა" 500 ლარის ოდენობით.

პეტრე ზვიადაძე სოდ-მა საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, თანხის აღებისას დააკავა. მას ბრალდება გუშინვე წარუდგინეს. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, შს სამინისტრო თბილისის საქალაქო სასამართლოს უახლოეს ხანში მიმართავს. ვინაიდან ქრთამის აღება მძიმე კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება, პროკურატურა სასამართლოს სავარაუდოდ ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პატიმარი თავის ქალის დაზიანებით გარდაიცვალა

თბილისის N1 კლინიკურ საავადმყოფოში კიდევ ერთი პატიმარი, 41 წლის აბდულ ისმაილოვი გარდაიცვალა.

ისმაილოვი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N6 დაწესებულებიდან 13 სექტემბერს N1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

პატიმრის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში მიმდინარეობს. წინასწარი ინფორმაციით, პატიმარმა თავის ქალის დაზიანება საწოლიდან გადმოვარდნის შედეგად მიიღო. გარდაცვალების მიზეზის დასადგენად მიმდინარეობს ექსპერტიზა. ისმაილოვს სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სერტიფიკატები ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს

საქართველოს ფინანსურ პოლიციას ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ონნო ელდერენბოხი და ნიდერლანდების საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის ფისკალური ინფორმაციისა და გამოძიების სამსახურის დირექტორი იან ჰერმანსი სტუმრობდნენ.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, საქართველოს ფინანსური პოლიციისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უცხოეთის მოწინავე ქვეყნების ფისკალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურებთან თანამშრომლობას. "განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჰოლანდიელი კოლეგების თანადგომა და მხარდაჭერა ჩვენი საქმიანობის სრულყოფასა და პერსონალის მომზადების თვალსაზრისით", - აცხადებენ პოლიციაში.

ჰოლანდიაში შესაბამისი სტრუქტურა უკვე 60 წელზე მეტია არსებობს. 2004 წლის სექტემბრიდან დღემდე, ჰოლანდიელმა კოლეგებმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს სხვადასხვა თემებზე 4 სემინარი ჩაუტარეს, ამასთანავე, ორი სასწავლო კურსი ნიდერლანდებშიც გაიმართა.

ფინანსური პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში გამართული შეხვედრის დასასრულს, იან ჰერმესმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ჰოლანდიაში სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაზეთ "24 საათის" 2006 წლის 8 სექტემბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება: საპროექტო დოკუმენტაციის შერჩევის მიზნით გამოქვეყნებულ საჯარო სკოლების ნუსხას დაემატოს ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლა.

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

ქ. თბილისში მდებარე შპს "ქართულ-ინგლისური სკოლა "ბრიტანიკა" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.

**ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები აცხადებს ტენდერს**

ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები (**Save the Children**) იწვევს დარეგისტრირებულ, გამოცდილ კომპანიებს წარმოადგინონ ფინანსური წინადადებები ფედერაციის 6 **ავტომობილის მომსახურების, შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგებისათვის**.

მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ მათი ტენდერში მონაწილეობის სურვილის გამომხატველი წერილები ქვემოთ მითითებულ მისამართზე. ამის შემდეგ ფედერაცია დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდის სატენდერო დოკუმენტაციას.

ფინანსური წინადადებები წარმოდგენილი უნდა უქნას ორშაბათს, **2006 წლის 2 ოქტომბრის 17:00 საათამდემადე.**

ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები, უფლებას იტოვებს მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი შემოთავაზება ან გააუქმოს ის, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეაჩეროს შერჩევის პროცესი და უარყოს ყველა შემოთავაზება ახსნა-განმარტებების გარეშე, ნებისმიერ დროს, და ამისათვის მას არ დაეკისრება ვალდებულება შერჩევაში მონაწილე მხარეების წინაშე.

გთხოვთ წარმოადგინოთ წინადადებები ფაქსით, ელ-ფოსტით ან პირადად შემდეგ მისამართზე:

ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები
ბარათაშვილის ქუჩა N 8
ფაქსი 998-943
ელ-ფოსტა: nata@savechildren.ge

# "კანონიერი ქურდისთვის" ჩამორთმეული დაუსაბუთებელი ქონება

პირველი გვერდიდან

ქართველმა სამართალდამცველებმა შაქრო კალაშოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იანვარში აღძრეს. მაშინ, როცა შსს-ს ოპერატიულმა დეპარტამენტმა წლების წინათ მომხდარი დანაშაული გახსნა. საუბარია, 2000 წელს მომხდარ დანაშაულზე - აშშ-ს მოქალაქის ალექსანდრე კრეინის გატაცებაზე. კრეინის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებულმა, სააქციო საზოგადოება "ლადას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მურმან ფაილოძემ თავის ჩვენებაში შს ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე და "კანონიერი ქურდი" შაქრო კალაშოვი დაასახელა.

**"ბრალდებულის დაკითხვიდან გამომდინარე, აღნიშნულ დანაშაულთან ე.წ. კანონიერი ქურდის შაქრო კალაშოვისა და შს ყოფილი მინისტრის კახა თარგამაძის გარკვეული კავშირები იკვეთება",** - განაცხადა ლევან გურგენიძემ.

გამოძიების ინფორმაციით, საქმეში ფიგურირებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ოფშორულ ზონებში თანხების გადარიცხვის ფაქტები. ამ კუთხით მნიშვნელოვანი დეტალებია გადასამოწმებელი რუსეთის ფედერაციაში, რაშიც ქართულ მხარეს დახმარებას FBI უწევდა.

ალექსანდრე კრეინი ამერიკელი ბიზნესმენი გახლდათ, რომელსაც ინტრესები სათამაშო ბიზნესში ჰქონდა. საქმეში ფიგურირებს კაზინო "კრისტალი", რომელიც მოსკოვში მდებარეობს. არსებული ინფორმაციით, ამავე კაზინოს მეწილეა შაქრო კალაშოვი, უფრო ზუსტად, იგი "კრისტალის" მფლობელი მას შემდეგ გახდა, რაც კრეინს წილი იძულებით წაართვა.

შსს-მ შაქრო კალაშოვის წინააღმდეგ საქმე ფაილოძის ჩვენების შემდეგ აღძრა. ძალოვანები მაშინ ალაპარაკდნენ იმაზეც, რომ "კანონიერ ქურდს", რომელმაც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველო დატოვა, უკანონო გზით შეძენილი ქონება ჩამოერთმეოდა. სხვათა შორის, შაქრო კალაშოვის წყნეთის სახლთან დაკავშირებით სკანდალი რამდენიმე წლის წინათაც ატყდა, მაშინ ითქვა, რომ სახლი "კანონიერი ქურდის" მფლობელობაში არ იყო, ოფიციალურად კალაშოვის ბიძაშვილის საკუთრებად ითვლებოდა.

სამართალდამცველთა მიერ შაქრო კალაშოვის შესახებ შედგენილი დოსიე ასე გამოიყურება: შაქრო კალაშოვი, "კანონიერი ქურდი", 1953 წლის 20 მარტს დაბადებული, კრიმინალური ზედმეტსახელი - შაქრო უმცროსი, თბილისელი ქურთი, მოსკოვში ცხოვრობს რამდენიმე მისამართზე, შვიდჯერ ნასამართლევი მძიმე დანაშაულებისთვის, მათ შორის მკვლელობებისთვის. მყარი კავშირები გააჩნია საქართველოში, სანკტ-პეტერბურგში, ავსტრიაში, აშშ-ში. აკონტროლებს სათამაშო ბიზნესს - მის მფლობელობაშია რამდენიმე პრესტიჟული კაზინო მოსკოვში. ასევე, აკონტროლებს საბანკო სფეროს, ხე-ტყისა და მეტალის ექსპორტს, ნავთობბიზნესს. დასაქმებულია იარაღის კონტრაბანდით. აკონტროლებს სეიშელის კუნძულების ოფშორულ ზონებს.

მის საკუთრებაშია რამდენიმე ფეშენებლური სახლი მოსკოვში, ვილები და კოტეჯები აშშ-ში და ესპანეთში. კალაშოვის ერთი რეზიდენცია მდებარეობს ესპანეთის ქალაქ მარბელში, სადაც ყოველწლიურად ტარდება ტრადიციული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება.



*შაქრო კალაშოვი - რუსული და ქართული მაფიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ლიდერი.*

კალაშოვი, რომელსაც რუსეთში ბიზნესმენ-ბოროტმოქმედის სახელით მოიხსენიებენ, დიდ კავშირებზეა გასული. მას საქართველოშიც საკმაო გავლენის პარტნიორები და მფარველები ჰყავდა. კალაშოვის მეგობართა რიცხვს მიაკუთვნებდნენ შს ყოფილ მინისტრს კახა თარგამაძესაც.

წლების წინათ, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, შაქრო კალაშოვი სიტუაციას საქართველოშიც სერიოზულად "აკონტროლებდა". ამის შესახებ საუბრობდნენ ორი წლის წინათაც, მაშინ, როცა ნატახტრის საგუშაგოზე დაკავებული დიდძალი იარაღი შაქრო კალაშოვის საკუთრებად გამოცხადდა, კალაშოვი მივიდა კიდეც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და ჩვენებაც ჩააბარა, მაგრამ ავტორიტეტული კრიმინალის მაშინდელი გავლენის გამო, ანუ, როგორც ამბობენ, შევარდნაძე-თარგამაძის მფარველობით, საქმე ჩაიფარცხა. ნატახტართან დაპატიმრებული იარაღის საბაზრო ფასად 800 ათასი დოლარი დასახელდა.

შაქრო კალაშოვის სახელი ფიგურირებდა რამდენიმე წლის წინათ ტოლიატში მიმდინარე ხმაურიან პროცესზეც - "ავტოვაზის" გახმაურებულ საქმეში.

საქმის ძირითადი გმირები იყვნენ მსხვილი ავტორიტეტული კრიმინალები: ფოკსი -ალექსანდრ ფოგელი, ჯონი - ჯალილ ჯანდოიანი, შაქრო-უმცროსი - შაქრო კალაშოვი და გერა - სერგეი ილინი.

შაქრო კალაშოვი ინტერპოლმა დუბაიში გამართულ "კანონიერ ქურდთა" შეკრებაზე რამდენიმე თვის წინათ დააკავა, მასზე ესპანეთის პოლიციას საერთაშორისო ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. შაქრო კალაშოვი ეჭვმიტანილი იყო ესპანეთში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ფულის გათეთრებაზე მუშაობდა. ავტორიტეტული კრიმინალი დუბაიდან ესპანეთში იქნა ექსტრადირებული. გავრცელებული ინფორმაციით, კალაშოვი დუბაიდან მადრიდში სამხედრო თვითმფრინავით გადაიყვანეს. ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეფასებით, კალაშოვი რუსული და ქართული მაფიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ლიდერია.

დუბაიში დაპატიმრებულ კალაშოვს ორმაგი მოქალაქეობა აღმოაჩნდა - რუსეთისა და საქართველოსი. მიუხედავად იმისა, რომ მასზე საქართველოში საქმე იყო აღძრული, ქართველ სამართალდამცველებს მისი ექსტრადიცია არ მოუთხოვიათ. ოფიციალურად მისი ექსტრადიცია არც რუსეთს მოუთხოვია, თუმცა, გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ესპანეთის მთავრობამ კალაშოვი რუსეთს გადასცა, სადაც "კანონიერი ქურდი" გაათავისუფლეს კიდეც.

*24 საათი*

# "ბათიაშვილი მშვიდობიანი ინიციატივისთვის ისჯება"

*პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისგან მიღებული ნებართვის საფუძველზე, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე თბილისის N7 საპყრობილეში შევიდა და უშიშროების ყოფილ მინისტრს, პოლიტიკური მოძრაობა "წინ საქართველოს" ლიდერს ირაკლი ბათიაშვილს შეხვდა.*

სხვათა შორის, დაკავებიდან დღემდე, სამართალდამცველები ბათიაშვილთან შეხვედრის უფლებას მხოლოდ მის ადვოკატს აძლევდნენ, რაც მისი ოჯახის წევრებმა არაერთხელ გააპროტესტეს. როგორც ცნობილია, უშიშროების ყოფილი მინისტრი 29 ივლისს დააკავეს და მას ბრალად ედება კოდორის ხეობის მეამბოხეთათვის ინტელექტუალური მხარდაჭერა და დანაშაულის დაფარვა.

ერთსაათიანი საუბრის შემდეგ საპყრობილედან გამოსულმა "მემარჯვენეების" ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილს პოლიტპატიმარი უწოდა.

**"საქმე შეთითხნილია და პოლიტპატიმარი ბათიაშვილი მშვიდობიანი ინიციატივისთვის ისჯება",** - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

"მემარჯვენეების" ლიდერის თქმით, ბათიაშვილის წინააღმდეგ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობს გარდა იმისა, რომ ბათიაშვილი თანაუგრძნობდა კოდორის ხეობაში კვიციანის მომხრეებს.

**"ხელისუფლებას საქმეში არ აქვს ჩადებული ის სატელეფონო საუბრები, რაც ბათიაშვილის სიმართლეს დაამტკიცებდა. ბათიაშვილის თქმით, საქმეში არ დევს სატელეფონო საუბრები, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ მთავარი უნდა იყოს სოციალური მოთხოვნები და ყველაფერი მშვიდობიანად უნდა განიმუხტოს. ირაკლი ბათიაშვილი, მიუხედავად ფსიქოლოგიური ზეწოლისა, ძალიან მხნედ და მედგრად არის",** - აცხადებს დავით გამყრელიძე და ირწმუნება, რომ ბათიაშვილს ჰქონდა ზუსტად იგივეს მცდელობა, რაც წინა ხელისუფლების დროს მუხროვანის ბატალიონთან დაკავშირებული ამბოხის დროს.

**"მაშინდელი ამბოხის დროს გია ყარყარაშვილმა და ირაკლი ბათიაშვილმა შუამავლის როლი იკისრეს, რომ ამბოხებას რაიმე გართულება არ მოჰყოლოდა ",** - იხსენებს გამყრელიძე, რომელიც დარწმუნებულია, მიუხედავად იმისა, რომ 29 სექტემბერს ირაკლი ბათიაშვილს ორთვიანი პატიმრობის ვადა გასდის, საქმე სასამართლოს განსახილველად, სავარაუდოდ, არჩევნებამდე არ გადაეცემა.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერის თქმით, ირაკლი ბათიაშვილი და ცოტა ხნის წინ დაპატიმრებული ეროვნული აკადემიის რექტორი გიორგი თავდგირიძე არ შეიძლება ამ ხელისუფლების მსხვერპლნი გახდნენ.

**"იმისათვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრები აღარ იყვნენ, არსებული რეჟიმი უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში დემოკრატიაზე საუბარი ზედმეტი იქნება",** - განაცხადა გამყრელიძემ.

ირაკლი ბათიაშვილის და სხვა პატიმრების პრობლემებზე საუბარს დავით გამყრელიძე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან შეხვედრაზე გეგმავს.

**"ამერიკის საელჩოში შეხვედრის გარდა, "ახლებს" შეხვედრები ექნებათ შოტლანდიის დელეგაციასთან და სხვა საელჩოებთან, სადაც პოლიტპატიმრების თემას აქტიურად შევეხებით. ხოლო, როცა ფიქრია ჩიხრაძე სტრასბურგში გაემგზავრება, თან წაიღებს ბათიაშვილის, თავდგირიძის და სანდრო გირგვლიანის დედის ირინა ენუქიძის მიმართვებს",** - ამბობს გამყრელიძე.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა "სარფის" სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ორი ძებნილი დააკავეს. როგორც სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურში აცხადებენ, რეგიონული სამმართველო "ბათუმის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" საქართველოს შს სამინისტროს მიერ ძებნილი ორი პირი დააკავეს. ისინი თურქეთიდან საქართველოში შემოდიოდნენ და საპასპორტო კონტროლის გავლას ცდილობდნენ. დაკავებულები შემდგომი რეაგირებისთვის შს სამინისტროს აჭარის სამმართველოს გადაეცნენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იმერეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 18 წლის ნიკოლოზ ჭოლაძე დააკავეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ის ახალგაზრდა თანამზრახველებთან ერთად, სოფელ მაღლაკში მდებარე ქვის დასამუშავებელი შპს "ზოდი"-ს საამქროში შეიჭრა და დარაჯი, ნოდარ გვენცაძე, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით საყარაულო ჯიხურში ჩაკეტა. ნიკოლოზ ჭოლაძემ და მისმა მეგობრებმა სამი ელექტროძრავა გაიტაცეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გადასახადისთვის თავის არიდების" მუხლით ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველომ შპს "აგროქიმსერვისის" ხელმძღვანელ პირთა მიმართ გამოძიება დაიწყო. ეს ფირმა საგარეჯოს რაიონში მდებარეობს და ქიმიკატებს აწარმოებს. ფინანსური პოლიციის გამოძიების ინფორმაციით, სხვადასხვა მაქინაციებით "აგროქიმსერვისის" ხელმძღვანელები ბიუჯეტს დიდი ოდენობით გადასახადს უმალავდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 30 წლის რამაზ კიკნაველიძე დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, კიკნაველიძე ეჭვმიტანილია 2005 წლის 29 დეკემბერს "სახალხო ბანკის" ქობულეთის ფილიალიდან 12 500 ლარის თაღლითურად გატანაში. დაკავებული აქამდე მიმალვაში იმყოფებოდა და მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველომ ახმეტაში ულიცენზიოდ მომუშავე აფთიაქი გამოავლინა. როგორც ფინანსურ პოლიციაში განმარტავენ, აფთიაქის მეპატრონის, ბესიკ ექვთიმიშვილის მიმართ გამოძიება "უკანონო სამეწარმეო საქმიანობის" მუხლით მიმდინარეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10** -ით

www.telecom.ge

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# არჩევნები რეკლამისათვის და რეკლამა არჩევნებისთვის

პირველი გვერდიდან

წესით და კანონით, თვითმმართველობის არსი წარმომადგენლობითობაში, არჩევითობასა და მის დამოუკიდებლობაშია, ხოლო თვითმმართველობის დანიშნულება ამომრჩეველთან ტერიტორიული სიახლოვე, გადაწყვეტილების მიღებაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა და ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნაა, რითაც ნებისმიერ ჩვენგანს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას საკუთარი დრო მინიმალურად უნდა დაეხარჯოს.

თუმცა აქამდე ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო - საკრებულოებს კანონი არ აძლევდა იმის უფლებას, რომ ადგილზე მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი საბიუჯეტო პოლიტიკა გაეტარებინათ და საკუთარი ქონება განეკარგათ - იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღემდე არსებული კანონმდებლობა, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ ბუნდოვან განმარტებას იძლეოდა ამის თაობაზე.

შესაბამისად, საქართველოში ეფექტურ თვითმმართველობაზე საუბარი სწორედ რომ გულუბრყვილობა იყო და სხვა არაფერი. ამიტომაც საკრებულოების ნებისმიერი წინა არჩევნები (რომელიც, როგორც წესი, საპარლამენტო არჩევნებამდე მაქსიმუმ ერთი წლით ადრე იმართებოდა ხოლმე), მოსახლეობასა და თავად პარტიებისათვის "დიდი" ანუ საპარლამენტო არჩევნების წინ გენერალურ რეპეტიციად აღიქმებოდა.

დღეს კი ვითარება შეიცვალა - პარლამენტმა საკრებულოებს ფუნქციები დაუკონკრეტა, რამაც იგი პარტიებისათვის საკმაოდ მომხიბვლელი გახადა.

ასე, მაგალითად, პარლამენტმა მიიღო კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ", რომელმაც ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ქონების გამიჯვნის პროცესი უნდა უზრუნველყოს (იმის მიუხედავად, რომ თავად კანონი 2005 წელს მიიღეს, გარდამავალ დებულებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ უნდა დაიწყოს. თუმცა, ამავე დათქმის თანახმად, ეს არ ეხება იმ ქალაქებს, რომელიც 2006 წლის პირველი იანვრისთვის რაიონის შემადგენლობაში არ შედიან - ანუ თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი, სადაც ქონების გამიჯვნის პროცესი უკვე აქტიურად მიმდინარეობს).



საკრებულოების არჩევნების მნიშვნელობის დაკნინებამ ზიანი ისევ ოპოზიციას მოუტანა.

ინტერპრესნიუსი

ამ კანონის თანახმად, თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცემათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე შემდეგი სახის ძირითადი ქონება: გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საკრებულოების საკუთრებაში გადადის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი მათზე მიმაგრებული მიწის ფართობით, ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინფორმაციო საშუალებები, ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრებისა და მათი მუშაობისთვის აუცილებელი შენობა-ნაგებობები, ასევე, სასაფლაოები, პანთეონები, კრემატორიუმები და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ქონების გასხვისების წესი. მართალია, ამ კანონის თანახმად, ქონება ორ კატეგორიადაა დაყოფილი - ძირითად (გაუსხვისებელ) და დამატებით (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ ან შეძენილ) ქონებად, მაგრამ ორივეს გასხვისების საშუალებას ეს კანონი იძლევა. ქონების გასხვისებას კი საკრებულოს დადგენილება სჭირდება.

მოკლედ, დღეს საკრებულოებს ნამდვილად აქვთ წონა. შესაბამისად, ამ არჩევნებში გამარჯვება (რაც, დღეისთვის, მხოლოდ საჭირო ბარიერის გადალახვაში უნდა გამოხატულიყო) ოპოზიციისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო და პარტიებს სამზადისი არა ზაფხულის მიწურულს, არამედ თუნდაც ამ კანონის მიღებისთანავე უნდა დაეწყოთ. მით უფრო, რომ საკრებულოებისათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭების პარალელურად, საპარლამენტო უმრავლესობამ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შეიტანა და ოპოზიციას საკრებულოებში მოხვედრის პროცედურა საგრძნობლად გაურთულა.

ამის ნაცვლად, ოპოზიციამ მხოლოდ იმაზე იდარდა, თბილისის მერი პირდაპირი წესით რომ არ აირჩევა. უდავოდ, თითოეული პარტიისათვის მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სწორედ მისი კანდიდატი გახდეს მერი, მაგრამ, მთლიანობაში, ეს გარემოება გადამწყვეტი ნამდვილად არ არის.

საკრებულოების არჩევნების მნიშვნელობის დაკნინებამ და მხოლოდ იმაზე წუწუნმა, რომ მერი ირიბი წესით ირჩევა, ზიანი ისევ ოპოზიციას მოუტანა. ბოლო თვეებმა კი კვლავ თვალნათლივ დაგვანახა, რომ დღეს ოპოზიცია ისეთი სუსტია, როგორც არასდროს. შესაბამისად, არჩევანის არქონის პირობებში, გამარჯვებული მხოლოდ და მხოლოდ მმართველი პარტია აქნება.

მართალია, არც ის არის გამორიცხული, რომელიმე რაიონში ან, თუნდაც, იმავე თბილისში საარჩევნო ბარიერი ერთმა რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამაც გადალახოს, მაგრამ ეს საერთო ფონს ნამდვილად არ შეცვლის.

ასე რომ, რა მოხდება ხუთ ოქტომბერს, ძნელი გამოსაცნობი ნამდვილად არ არის.

# უმუშევარი ხელისუფლება

პირველი გვერდიდან

მისივე თქმით, დღეისთვის სამივე კანდიდატმა - გია მჭედლიძემ, სევერიან ქარელმა და ვასილ მახარაშვილმა საარჩევნო კომისიაში მიიტანეს დოკუმენტები, რომლებიც მათი უფლებამოსილების შეწყვეტას ადასტურებს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები საოლქო კომისიაში არ დაუტოვებიათ.

**"აღნიშნული დოკუმენტი არ გვაქვს, მაგრამ ჩვენ ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ მათ სამსახურებრივი უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვთ,"** - ამბობს გიორგი ხორბალაძე.

პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე გია მჭედლიძე "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ მას სამსახურებრივი უფლებამოსილება 8 სექტემბერს შეუწყდა და ყველა აუცილებელი დოკუმენტი საოლქო საარჩევნო კომისიაში დევს. **"ვისაც არ აკმაყოფილებს საოლქო კომისიაში წარდგენილი დოკუმენტები, შეუძლიათ მობრძანდნენ და ნახონ ჩემი სახელფასო უწყისები. 8 სექტემბრის შემდეგ მე რწმუნებულის მოადგილე აღარ ვარ, ჩემი ხელფასი 1300 ლარს შეადგენს და სულ არ მსიამოვნებს, რომ ვერ მივიღებ, თუმცა კანონი კანონია. ასეთი ტყუილებით ისინი ხელისუფლებაში ვერ მოვლენ,"** - აცხადებს გია მჭედლიძე.

# ცესკო-მ თელავის საოლქო კომისიის დადგენილება გააუქმა

რამდენიმე დღის წინ თელავის N17 საარჩევნო საოლქო კომისიამ ოპოზიციური ბლოკის "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატები ნელი ჯავახიშვილი, რამაზ ქევხიშვილი, ქსენია ალადაშვილი და ნონა შიუკაშვილი რეგისტრაციიდან მოხსნა.

ამის მიზეზად საოქლო კომისიაში კანდიდატების მიერ წარდგენილ მხარდამჭერთა სიებში აღმოჩენილ უზუსტობებს და გაყალბებულ ხელმოწერებს ასახელებდნენ. ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" თელავის შტაბის წარმომადგენლები ამ ფაქტს თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის ყოფილ შემსრულებელს და "ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გოჩა მამაცაშვილს უკავშირებდნენ და ოპოზიციის კანდიდატებთან ბრძოლას და "ბინძურ ქმედებას" უწოდებდნენ.

აღნიშნულის გამო ოპოზიციურმა ბლოკმა საჩივრით ცესკო-ს თავმჯდომარეს გურამ ჩალაგაშვილს მიმართა, რომელმაც ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენისვილის" მიერ შესული საჩივრები განიხილა, რის შემდეგაც საოლქო კომისიის მიერ მიღებული განკარგულებები ბათილად ცნო და საოლქო კომისიას მოხსნილი კანდიდატურების რეგისტრაციაში გატარება დაავალა.

გავრცელებული ინფორმაციით, თელავის N17 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დავით მკალავიშვილს ცესკო-ს თავმჯდომარემ სამსახურებრივი დაუდევრობისთვის საყვედური გამოუცხადა. კონსერვატიული პარტიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თენგო მთვარელიშვილის განცხადებით კი, დავით მკალავიშვილმა საარჩევნო კოდექსი უხეშად დაარღვია. მისი თქმით, თელავის საოლქო კომისიამ "ნაციონალებს" ოპოზიციის პირადი საქმეების და მხარდამჭერთა სიების ნახვის საშუალება მისცა.

თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით მკალავიშვილი საყვედურის მიღებას უარყოფს, კონსერვატორების ბრალდებებს კი უსაფუძვლოს უწოდებს.

*24 საათი*

# პუტინი მანამდე შეაქებს იუშჩენკოს, ვიდრე "გაზპრომი" უკრაინაში ღრმად არ შეიჭრება

პირველი გვერდიდან

სწორედ აღნიშნული შტრიხები იყო ჩადებული მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რუსეთის სამოქმედო გეგმაში, თუმცა უკრაინის პრეზიდენტის გუნდისა და რეგიონების პარტიას შორის არსებული დაძაბულობის გამო მეორე და მესამე კვარტლის განმავლობაში მიზნის განხორციელება გართულდა. ამ გეგმის სრულყოფა კი რუსეთისათვის დღესდღეობით უკვე ძალზედ საჩქაროა და, მოახლოებული ზამთრის პერიოდში, კრემლის მიერ უკრაინასთან მოზომილ და გათვლილ დამოკიდებულებას სწორედ ეს განაპირობებს.

5 სექტემბერს "გაზპრომი" დათანხმდა თურქმენეთის მოთხოვნას, მოემატებინა ფასი თურქმენეთის გაზზე, რომელიც რუსეთს მიეწოდებოდა. შესაბამისად, ფასი 1000 კუბურ მეტზე 65 დოლარიდან 100 დოლარამდე გაიზარდა. პირველი ოქტომბრიდან რუსეთის მიერ ნაყიდი თურქმენული გაზი "გაზპრომისა" და "როსუკრენერგოს" მიერ 1000 კუბურ მეტრზე 95 დოლარად მიეწოდება უკრაინას. ახლა კრემლს უკვე შეუძლია, შემდეგნაირად იმოქმედოს: უკრაინისათვის მიწოდებული გაზის საფასური იგივე დატოვოს, ან მისცეს უკრაინას უფლება, დააგროვოს ვალი, ანდა უკრაინის აქტივები თურქმენული გაზით შეავსოს.

სექტემბრის მეორე კვირის განმავლობაში "გაზპრომის" ხელმძღვანელი ალექსეი მილერი და უკრაინის ენერგეტიკის მინისტრი იური ბოიკო შეთანხმდნენ 2006 წლის ბოლომდე გაზზე ფასის განსაზღვრის თაობაზე, რაც 1000 კუბურ მეტრზე 95 დოლარს გულისხმობდა, ხოლო 2007 წლისათვის ფასზე ხელახალი შეთანხმებისათვის უნდა მიეღწიათ. "გაზპრომი", როგორც ჩანს, მოემზადა ფასის "საშუალოდ" გაზრდისათვის, რათა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ეკონტროლებინა უკრაინის გაზსადენები, გაზის სადისტრიბუციო კომპანიები და სხვა შესაძლო ენერგოსაწარმოებები.

მაშინ, როდესაც იუშჩენკომ და მისმა გუნდმა მიმდინარე წლის დასაწყისში გაზის შესახებ მიღწეულ შეთანხმებაზე განაცხადა, უკრაინის მოსახლეობამ აღნიშნული ტარიფის კიდევ ხუთი წლით დაკანონება მოითხოვა. თუმცა რეალურად ფასზე შეთანხმება ყოველწლიური მოლაპარაკებებისა და მსჯელობის საგანია. თებერვლიდან აგვისტომდე, უკრაინა ყურადღებას არ აქცევდა მოსკოვისა და აშხაბადის გაფრთხილებას, რომ თურქმენეთის გაზზე ფასის მომატება აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთის მიერ უკრაინისათვის მიწოდებული გაზის საფასურის გაზრდას. თუ იანვრის შეთანხმება ხუთი წლის განმავლობაში დარჩება ძალაში, ევროპისა თუ რეგიონულ დონეზე, და "გაზპრომი" ევროპაში გაზის ექსპორტირებისათვის უკრაინას სატრანზიტო გზად გამოიყენებს, კიევს აღარ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ ტრანსპორტირების ფასის აწევის შედეგად გაზის საფასური შეცვალოს.

პუტინმა და რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხაილ ფრადკოვმა გასულ თვეს უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს სოჭში შეხვედრისას უკვე აცნობეს იმის თაობაზე, რომ 2007 წლისათვის უკრაინა გაზის გაზრდილი ფასისათვის უნდა მოემზადოს. 13 სექტემბერს, ბრიუსელში ვიზიტის დროს, იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მიზნად ისახავს 600 მილიონი დოლარის ბიუჯეტის მქონე "მასტაბილიზებელი ფონდის" შექმნას, რათა ფასის მოსალოდნელი ზრდა მოსახლეობაზე ნაკლებად აისახოს.

"როსუკრენერგომ" ახლახან განაცხადა თავისი გეგმების შესახებ, რომელიც გაზის სადისტრიბუციო სისტემაში უკრაინის 7 ოლქის აქციების ყიდვას ითვალისწინებს, ხოლო ეს მიზნად ფართო სადისტრიბუციო ქსელის შექმნას ისახავს. ამ აქციების მენეჯმენტი "უკრგაზენერგოს" დაბრუნებით განისაზღვრა, რომლის უკან "როსუკრენერგო", ხოლო მის უკან კი, საბოლოოდ, "გაზპრომი" იდგება.

# აფხაზეთში რუსეთიდან დამატებითი სამხედრო ძალა შედის

სოხუმის ხელისუფლება გალის რაიონში საგუშაგოებს აძლიერებენ. სანდო წყაროზე დაყრდნობით, აფხაზეთის მედიაცენტრი იუწყება, რომ სოხუმის ხელისუფლებამ გუშინ დილით გალის რაიონის ერისწყალის არხისპირა სოფლებში ურალის მარკის 7 სატვირთო მანქანით დამატებითი სამხედრო შენაერთები განალაგა.

ამავე წყაროს ცნობით, გაძლიერებულ რეჟიმზეა გადაყვანილი აფხაზური მილიციის გალის ქვედანაყოფი. გალის ტერიტორიაზე დამტებით შემოყვანილია სოხუმის ხელისუფლების ანტიტერორისტული ცენტრის სპეცდანიშნულების რაზმი. კოდორის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ, გუდაუთასთან არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე მოსკოვიდან "ვიმპელისა" და "ალფას" სპეცდანიშნულების რაზმელები და ინსტრუქტორები ჩავიდნენ.

აფხაზეთშია საქართველოს ხელისუფების მიერ აჭარიდან გაძევებული ასლან აბაშიძის თანამებრძოლი გენერალი ნეტკაჩოვიც. მედიაცენტრის ცნობით იგი კოდორის ხეობაზე სადაზვერვო საქმიანობას ვეტმფრენიდან აწარმოებს. გენერალი ნეტკაჩევი კოდორის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ ივლისის ბოლოს ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ ჩავიდა და სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროსთან და კონფლიქტის ზონაში მოქმედ რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან აქტიურად თანამშრომლობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# რეფორმა სასაზღვრო უწყებაში

## სასაზღვრო პოლიციის ფაკულტეტი გაიხსნა

*გუშინ ქართველმა მესაზღვრეებმა ევროკომისიის დელაგაციის ელჩი ტორბენ ჰოლცე "დააკავეს". მას დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება "შემოჰქონდა". ეს იყო საჩვენებლი თამაში, რომელიც გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ახალი სასაზღვრო ფაკულტეტის პრეზენტაციის შემდეგ ჩატარდა.*

სასაზღვრო ფაკულტეტის ჩამოყალიბება 2006 წლის იანვრიდან დაიწყო. წელიწადნახევრიანი პროექტი მილიონი ევრო ჯდება და მას ევროკომისია აფინანსებს. პროექტის განხორცილებაში აქტიურად არიან ჩართული ფინელი ექსპერტები.

მესაზღვრეთა საბაზისო მომზადება 11 კვირას გაგრძელდება. სწავლება შემდეგ ეტაპებს მოიცავს: საერთო პოლიციური მომზადება, სპეციალური სასაზღვრო მომზადება, პრაქტიკა სასაზღვრო პოლიციაში.

მოგეხსენებათ, რომ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ყოფილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სასაზღვრო პოლიციად გარდაიქმნა და ამ უწყების თანამშრომელთათვის პოლიციური ცოდნის მიღება აუცილებელია.

საერთო პოლიციური მომზადების ფარგლებში გათვალისწინებულია სამართლებრივი მომზადება, საპატრულო სამსახურის სპეციფიკის შესწავლა. ასევე საცეცხლე და ფიზიკური მომზადება.

სპეციალური სასაზღვრო მომზადება ძირითადად გულისხმობს სასაზღვრო კანონმდებლობის და სასაზღვრო სამსახურის ტაქტიკის შესწავლას.

სასაზღვრო ფაკულტეტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასაზღვრო პოლიციისა და საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენლები.

ფაკულტეტის პრეზენტაციის შემდეგ აკადემიის ტერიტორიაზე გაიმართა საჩვენებელი წვრთნა. მასში მონაწილეობდნენ სასაზღვრო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი და ევროკომისიის დელეგაციის ელჩი ტორბენ ჰოლცე. მათ საზღვარზე დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება "შემოჰქონდათ". ჯერ კიდევ რეფორმის ეტაპზე მყოფმა ქართველმა მესაზღვრეებმა "კონტრაბანდისტები" ოპერატიულად დააკავეს.

*24 საათი*

# მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის მუშაობაში.

პრეზიდენტთან ერთად გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილიც დაესწრება. ვიზიტის ფარგლებში იგეგმება მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან.

*ინტერპრესნიუსი*

# სასწავლო წელი დაიწყო

*ახალი სასწავლო წელი დაიწყო - ახალი სასწავლო ფორმებით, სახელმძღვანელოებით, ეროვნული სასწავლო პროგრამებით და ერთადგილიანი მერხებით. სამოცი ათასი პირველკლასელი პრეზიდენტისაგან ჩვეულ საჩუქარს - წიგნებს და ზურგჩანთებს მიიღებს. ბავშვები შინაგან საქმეთა მინისტრსაც არ დავიწყებია და მათ საჩუქრად რვეულებს გაუგზავის.*

ნინო ბერელიძე

წელს 70 ათასამდე მოსწავლე კაპიტალურად გარემონტებულ ათეულობით სკოლის შენობაში ისწავლის. მშენებლობის პროცესშია 74 ახალი სკოლის შენობაც, რომლებიც მომავალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება. კომპიუტერებით და ინტერნეტით აღჭურვილ სკოლებში უახლოეს მომავალშიი ვიდეოკამერები დამონტაჟდება, რომლებიც ბავშვების უსაფრთხოებას მაქსიმალურად უზრუნველყოფს. მათი დახმარებით გაჭირდება სკოლის შენობაში ნარკოტიკებისა და ცივი იარაღის შეტანა.

გუშინ განსაკუთრებით მხიარული სახეები პირველკლასელებს ჰქონდათ, რომლებმაც ახალი სასკოლო ფორმები პირველად ჩაიცვეს და მოხატული, ფერადი ჩანთებიც მოიკიდეს. მათ ახალი სასწავლო წლის დაწყება პირადად ქვეყნის პრეზიდენტმა მიულოცა, რომელმაც თბილისის და რაიონების რამდენიმე სკოლა ოჯახის წევრებთან ერთად მოინახულა.

ჯერ სწავლა არ დაწყებულა რეგიონების სკოლებში - იქ სასწავლო წელი 25 სექტემბრიდან განახლდება. სოფელში ყველაზე პრობლემატური სახელმძღვანელოები და ინფორმაციის ნაკლებობაა. მშობლებს სახელძღვანელოების კომპლექსის ყიდვაც ძალიან უჭირთ, რომლის ღირებულებაც თითქმის გაორმაგდა (მათი ღირებულება 150 ლარია ). მასწავლებელებს კი ახალ სასწავლო გეგმაში გარკვევა გაუჭირდებათ. მოუგვარებელი პრობლემაა უცხო ენისა და ტექნიკური საგნების კვალიფიციური კადრები, რომლებიც წლების მანძილზე რაიონის სკოლებში არ ჰყოლიათ.



პირველკლასელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება პრეზიდენტის გარდა დედაქალაქის მერმა და განთლების მინისტრმაც მიულოცეს.

ინტერპრესნიუსი

განათლების რეფორმის შესაბამისად, ახალი ეროვნული პროგრამით სწავლების პირველი ეტაპიც ახალ სასწავლო წელთან ერთად დაიწყო, რომელიც პირველი, მეშვიდე და მეათე კლასების მოსწავლეებს შეეხებათ. მომავალში კი ყველა კლასისათვის სავალდებულო გახდება. ამ სიახლეს კი რაონებში პედაგოგთა ნაწილი მოუმზადებელი შეხვდა. **"დაწყებით კლასებს ვასწავლი და ძალიან ვნერვიულობ ახალი სასწავლო გეგმის გამო. ბევრად განსხვავებულია პირველკლასელთა პროგრამა ადრინდელისაგან და საგნის შესაბამის დონეზე სწავლება რთული იქნება,"** - აღნიშნავს სოფელი ჭიორის დაწყებითი კლასისი პედაგოგი მარინა რეხვიაშვილი.

ორი ოქტომბრიდან სასწავლო წელი იმ სკოლებში დაიწყება, სადაც სარემონტო სამუშაოები ამ დროისათვის დასრულდება.

# "ენკა" - ახალ სასწავლო წელს ახალ შენობაში

ნუკა გაგუა

მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიგი წერეთელმა და ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა კონსტანტინემ ბავშვებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

სკოლ-ლიცეუმი "ენკა" წმინდა ნინოს სახელობის 47-ე საშუალო სკოლის ბაზაზე დაარსდა. წინა წლებისგან განსხვავებით, სკოლა-ლიცეუმი ახალ სასწავლო წელს ახალ შენობაში შეხვდა.

"ენკა" ვერის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. მას გააჩნია სწავლების საავტორო მოდელი და გამოირჩევა ევროპული სტანდარტებით. მოსწავლეები გაივლიან მათემატიკისა და უცხო ენის გაძლიერებულ კურსს. სკოლაში ასევე შეისწავლება ჭადრაკი, აერობიკა, მეტყველება, ინფორმატიკა, იტალიური, ესპანური და გერმანული ენები, ლინგვისტიკა, ორატორული ხელოვნება და ლიტერატურის ისტორია.

სკოლა-ლიცეუმის გენერალური დირექტორი და დამფუძნებელია ნუგზარ ყენია.




## 19 სექტემბერი

**თეატრი**

**კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრი**
ბერტოლდ ბრეხტი
მუსიკალური სპექტაკლი
"სამგროშიანი ოპერა"
რეჟისორი გიზო ჟორდანია
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
"ოსკარი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
**დიდი დარბაზი**
"მაიამის პოლიცია"
დასაწყისი: 13.00;16.00,19.00; 22.00
**მცირე დარბაზი**
"სახლი ტბის პირას"
დასაწყისი: 18.00; 20.00; 22.00

**გალერეა**

**ქარვასლა**
შალომ კობოშვილის პერსონალური გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა

**კოპალა**
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

**ჰობი**
შერეული გამოფენა

**ვერნისაჟი**
ქართული მხატვრობის გამოფენა

## ეროვნული მუსიკალური ცენტრი

თბილისის ეროვნული მუსიკალური ცენტრი სეზონს ხსნის. 21 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდ დარბაზში გაიმართება ნოდარ სირაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმფონიური მუსიკის კონცერტი. ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს დვორჟაკის "სლავურ ცეკვას", შოპენის II საფორტეპიანო კონცერტს და ბრამსის IV სიმფონიას.

ორკესტრს უდირიჟორებს დევიდ დელ პინო კლინგე. სოლისტი - ანანო გოკიელი (ფორტეპიანო).

*ინტერპრესნიუსი*

## ახალი სერიალი

მომღერალი თამარ გვერდწითელი და ცნობილი ტელეჟურნალისტი ნიკოლოზ სვანიძე სტალინის შესახებ ახალ სერიალში გადაიღეს.

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით0, რეგისტრაციის ადგილი. მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული მიწოდების საერთო მოცულობა ლარებში.

გ. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება.

დ. ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება.

ე. ბოლო 5 (ხუთი) წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები და ა.შ.)

ზ. საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო ფონდისადმი, დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები.

5. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა ყველა ცნობა, რომელიც ჩამოთვლილია მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას. თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგინეს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლია შემდეგ მისამართზე: წყალტუბოს რაიონი. გეგუთი - 1. შ.პ.ს. "ვარციხე 2005"-ის სატენდერო აპარატი. 2006 წლის 18 სექტემბრიდან 2006 წლის 8 ოქტომბერი 16 საათამდე.

სატენდერო წინადადების მიღება იწარმოებს 2006 წლის 23 სექტემბრიდან 2006 წლის 25 სექტემბრის 16 საათამდე.

8. ტენდერში საქართველოს და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება აღნიშნული მომენტისათვის საქართველოში მოქმედი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები (შეღავათები და გარანტიები).

9. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: საქონლის ფასი, საქონლის ხარისხი, ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები და სხვა.

10. ტენდერში მონაწილემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ზემოთ აღ ნიშნული საქონლის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: საქონლის წარმოების სერთიფიკატი გაცემული სავაჭრო-საწარმო პალატის მიერ. საქონლის ხარისხზე მოთხოვნილებასთან შესაბამისი სერთიფიკატი და საქონლის პასპორტი.

11. დამატები ინფორმაცია დაინტერესებული პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: წყალტუბოს რაიონი. გეგუთი - 1. შ.პ.ს. "ვარციხე 2005"-ის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 877 47 55 74 ფაქსი 8240-50130.

**შ.პ.ს. "ვარციხე 2005"-ის სატენდერო კომისიის აპარატი.**

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება

2006 წლის 16 სექტემბრის N204 გაზეთ "24 საათში" სატენდერო განცხადების ტექსტში გაიპარა უზუსტობა ნაცვლად ვიდეომიქშერის შესყიდვისა უნდა იყოს სატელიტური გადამცემის სიმძლავრის გამაძლიერებელი და მისი უწყვეტი კვების წყაროს შესყიდვა.

**მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს 17 საათზე ტარდება ს.ს. "მემონტაჟის" აქციონერთა კრება**

**დღის წესრიგი : განვლილი პერიოდის ანგარიში არჩევნები**

**გთხოვთ აქციონერებს მობრძანდეთ მისამართზე: ქ. ქუთაისი 9 აპრილის N 5**

**სამეთვალყურეო საბჭო**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" შეიძენს იურიდიული პირებისაგან სამსაღარავიან სატეხებს (დოლოტო) სტანდარტი 20692-95 შემდეგი სპეციფიკაციით:

1. სატეხი საშუალო ქანებისათვის დიამეტრით 215,9 მმ - 4 ცალი
2. სატეხი მაგარი ქანებისათვის დიამეტრით 139,7 მმ - 15 ცალი
3. სატეხი საშუალო ქანებისათვის დიამეტრით 190 მმ - 3 ცალი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა თავისი წინადადებები გთხოვთ წარმოგვიდგინოთ 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას 65, შესყიდვების სამსახური,
ტელ.: 33-27-34 ან 94-37-19



დავით კოვზირიძის სვეტი

## არასტატისტიკური გრძნობები

ამას წინათ ჩემი მეგობრის ნათ[illegible] დად შეყვარებული ბიჭი, ნეაპოლ[illegible] ჰკითხო ამ ქალაქიდან დაბრუნებულ [illegible] ფეხბურთს არაფერი ურჩევნია? ალ[illegible] ძნობა თუ არა იქ დიეგო არმანდ[illegible] კითხვა დაისვა კიდეც და პასუხიც [illegible] ვიღეთ: მარადონა არ ვიცი, მაგრამ [illegible] ნობაო.

არც კი მახსოვდა, რომ კანავარო [illegible] შორის, როცა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ნახევარ-ფინალში, ნეაპოლში არგენტინა-იტალია [illegible] მანეთს, ახალგაზრდა მცველი მოე[illegible] ვებს ბურთს აწვდიდა. სწორედ ამ [illegible] რადონაც, მისი და მთელი სამხრეთ იტალიის [illegible] ლიო ფეხბურთის მეორე ოფიციალური [illegible], რომე-ლიც ამ ზაფხულის შემდეგ ჩრდილში მოექცა. [illegible] ჩრდილში.

სულაც არ ვაპირებ მარადონასა და კანავაროს, [illegible] და დიდი მცველის გვერდიგვერდ დაყენებას. ეს აბსურდია. უბრალოდ, მინდა ვილაპარაკოთ ფეხბურთელებზე, რომ-ლებსაც ქალაქები, ქვეყნები გრძნობენ.

ამ შეგრძნებისთვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფეხბურთელი წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით იყოს საუკეთესო. მაგალითისთვის ერიკ კანტონაც იკმარებს, "მანჩესტერ იუნაიტედის" საყელოაწეული თამადა [illegible] განმავლობაში. ის მაგარი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ამ ქა-ლაქში დღემდე იმიტომ არ ახსოვთ, რომ ბურთს გემრიელად აგორავებდა. "იუნაიტედში" უფრო მაღალი დონის შემსრუ-ლებლებსაც ურბენიათ, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია აზ-რად ნაბიჭვარი გულშემატკივრისთვის ტყუპი წიხლი მიერ-თმია ან ბურთისგან თავისუფალ დროს ალბერ კამიუ ეკითხა.

მანჩესტერშივე იგრძნეს ჯორჯ ბესტის ხიბლი და დიდი ემოციებითვე გააცილეს იმქვეყნად. ბესტიც არ იყო ჩვეუ-ლებრივი კაცი და ჩვეულებრივი ფეხბურთელი. უყვარდა სიმთვრალე და ეშხიანი ქალების ალერსი, [illegible] გამასხარავება და მოულოდნელი ფინტები. [illegible] ულამაზესი და ხასიათით უცნაური ადამიანი მუდმივი სა-ლაპარაკო თემა, ყვითელი მედიის ფავორიტი და ღამის კლუ-ბის ვიზიტორი იყო. მას რთული ცხოვრება ჰქონდა. თუმცა ის გრძნობა, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, [illegible] კარაქიან პურზე გაზრდილი ხალხისთვის უცხოა.

მანეს საერთოდ "ხალხის სიხარულს" [illegible] ყველაზე დიდი მატყუარა იყო მოედანზე და ყველაზე [illegible] ლი, გულუბრყვილო ადამიანი - ცხოვრებაში [illegible] და, მუსიკასა და ქალებზე ჭკუა ეკ[illegible] დიოდა მოედანზე, მაგრამ ისეთ რა[illegible], საფ-ლავის ქვაზე წააწერეს: "დიდი მადლობა, რომ იცხოვრე!"

ის, თუ ვის როგორი წონა აქვს [illegible] სანაკრებო ტურნირებზეც იგრძნო[illegible] მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედ[illegible] ლისელებით სავსე მატარებლით [illegible] რომ დღესდღეობით იქ არავინ დგა[illegible] ლა. მასზე რამდენიმენაირი სიმღერა [illegible] ცრემლიც დავინახე და დაძარღვული [illegible] გილზე ლამპარდი იყო სერიოზული ჩამორჩენით, [illegible] ვიდ ბექჰემი, რომელიც მხოლოდ ა[illegible] რცესა და მაღაზიის დახლებზე იგრ[illegible] რებს ერთხელაც არ უხსენებიათ. [illegible] ბა ის თვისებებია (უმაღლეს კლას[illegible]), [illegible] ჯერარდი ინგლისის ყველაზე გრ[illegible] აქცია. მე გერმანიაში, მატარებელ[illegible] ნავს ეს ჯიგრიანი ბიჭი უშუალოდ [illegible].

იქვე აღმოვაჩინე, რომ გერმანელები ყველაზე მეტად ლუკაშ პოდოლსკის ეთაყვანებიან. ის და კლოზე ნებისმიე-რი ასაკისა და სქესის გულშემატკივრებში ძალიან პოპულა-რულები არიან და მათი სახელები [illegible], სიგნალად იქცა მთელი ივლისის განმავლობაში. რატომ? ეს კითხვა მეც გამიჩნდა და, ჩემდა გასაკვირად, [illegible] დებითი რეცენზიები მოვისმინე მის შესახებ.

არსებობენ ფეხბურთელები, რომლებსაც უარყოფითი გრძნობების წარმოქმნა შეუძლიათ. გახსოვთ, [illegible] ლი დატრიალდა ბარსელონაში მას შემდეგ, რაც ფიგუმ თეთრი მადრიდული ფორმა ჩაიცვა? კატალონიამ პორტუ-გალიელი ცუდად იგრძნო და ისტორიაში [illegible] სახე-ლით დატოვა. ისევე, როგორც მარკო მატერაცი დარჩა ნე-გატიურ პერსონაჟად, თუმცა ის ისეთ [illegible] გაერია, რომ ძალიან დიდხანს არავის დაავიწყდება და ეს უფრო ზიდანის დამსახურებაა, ვიდრე თავად მატერაცის.

გუნდები? 1950 წლის ურუგვაი, 1982 წლის ბრაზილია, 1992 წლის დანია, 1998 წლის ხორვატია, მომდევნო სეზონის "მანჩესტერ იუნაიტედი", შარშანდელი "ლივერპული" - მა-თი არასტანდარტულობაა მიზეზი იმისა, რომ ამ გუნდებზე ფეხბურთის მოყვარულები ყოველთვის ერთი-ორი სიტყვით მეტს იტყვიან, ვიდრე 1997 წლის "ბორუსიაზე".

სტატისტიკური ბუკლეტები უამრავ ინფორმაციას იტევს, მაგრამ გონება ამდენ მშრალ [illegible] და იმახსოვრებს მხოლოდ იმას, რაც ტვინს [illegible], გუ-ლის ამაჩქარებელი იმპულსები შვას.

*მომავალ სამშაბათამდე*

## გადამწყვეტი ბრძოლების მოლოდინში



იაპონიაში გრძელდება სექტემბრის ბაშო, რომელშიც ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურიაც მონაწილეობს. როგორც იცით, მაისის ბაშო კოკაიმ საკმაოდ კარგი შედეგით დაასრულა და რეიტინგშიც წინ წაიწია. ახლა ის კომოსუბის ტიტულის მფლობელია და თუ სექტემბრის ბაშოც დადებითი შედეგით დაასრულა, ამ ტიტულს აუცილებლად შეინარჩუნებს. რაც შეეხება წინსვლას, ახლა ამაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან კოკაიმ სექტემბრის ბაშო არც ისე კარგად დაიწყო - ასპარეზობის ცხრა დღის შემდეგ მას მხოლოდ 5 გამარჯვება აქვს. ცხადია, თუ კოკაიმ დარჩენილი ყველა ბრძოლა მოიგო, შესაძლოა, რეიტინგშიც წინ წაიწიოს, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ ქართველი გოლიათი დადებითი ბალანსით დაასრულებს ბაშოს და კომოსუბის ტიტულს მაინც შეინარჩუნებს.

გუშინ კოკაის მეტოქე აღმოსავლეთ დივიზიონის მეორე მაიგეშირა ტამანოშიმა იყო. ქართველმა კარგად ჩაატარა ორთაბრძოლა და ოშიდაშის ილეთით დასცა მეტოქე.

დღეს ლევანს მორიგი ორთაბრძოლა ელის. ამჯერად მისი მეტოქე იქნება აღმოსავლეთ დივიზიონის მესამე მაიგეშირა ჯემა, რომელიც სექტემბრის ბაშოზე წარუმატებლად ასპარეზობს - ცხრა ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული. რაც შეეხება პირად სტატისტიკას, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაის ოთხჯერ მოუხდა ჯემასთან ჭიდილი და სამი ბრძოლა ქართველის გამარჯვებით დასრულდა. უკანასკნელად კოკაი ჯემასთან ერთი წლის წინ, სექტემბრის ბაშოზე დამარცხდა.

წესით, ქართველ სუმოისტს არ უნდა გაუჭირდეს მორიგი გამარჯვების მოპოვება, რაც მას მიზანთან კიდევ უფრო მიაახლოებს. კოკაი უკვე შეხვდა თითქმის ყველა ძლიერ მეტოქეს და ახლა არც ისე მაღალი რანგის სუმოისტებთან მოუწევს დაპირისპირება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ლევანი სექტემბრის ბაშოს შემდეგ კომოსუბის ტიტულს შეინარჩუნებს.

## "ბორჯომი 2014" დამთავრდა. "ბორჯომი 2018" დაიწყო!

*მართალია, "ბორჯომი 2014"-ის პროექტის განხორციელებაში ხელი მოგვეცარა, მაგრამ ბრძოლა გრძელდება. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი საკუთარ რეზიდენციაში მასპინძლობდა, გაცხადდა ამ პროექტის გაგრძელების შესახებ. საქართველო ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლას აგრძელებს.*

ბიჭა ბურასაშვილი

ერთი სიტყვით, სეოკ-ის აღმასკომს მიაჩნდა: წინადადება, რომ საქართველოში ჩატარებულიყო ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელსაც მხარს უჭერდნენ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა, სრულად შეესაბამებოდა ქვეყნის ინტერესებს. ეს იყო ადრე. ახლა კი ახალი ნაბიჯებია გადასადგმელი. თუმცა, სეოკ-ის აღმასკომი სრულად აცნობიერებს, რომ რიგი ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, ბორჯომის კანდიდატურის გამორიცხვის ფაქტს გაგებით უნდა მოვეკიდოთ და განვიხილოთ გასავლელი გზის აუცილებელ ეტაპად, რომელიც შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში საქართველოს თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის შესაძლებლობას მისცემს. კონკრეტულად, ქართული ოლიმპიზმის მამებს მიაჩნიათ: ახალი რეალობის გათვალისწინებით მომზადდეს არგუმენტირებული წინადადებები 2018 წლის თამაშების სამასპინძლოდ.

გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში განსახილველად რვა საკითხი იყო წარმოდგენილი, მაგრამ ზამთრის ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობის გამო ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საუბარი, ფაქტობრივად, მხოლოდ ბორჯომის პროექტს ეხებოდა.

2005 წლის 22 ივნისს სეოკ-ის რიგგარეშე სესიაზე აღმასკომის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ბორჯომის კანდიდატურას, რომელიც იმთავითვე მომავალზე იყო ორიენტირებული. ცხადი იყო, რომ ბევრი მიზეზის გამო ჯერჯერობით ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას არავინ მოგვცემდა, მაგრამ ამ ნაბიჯით საქართველომ მსოფლიოს დაანახა, რომ მას სერიოზული პრეტენზიები აქვს და რომ ოლიმპიურ მოძრაობაში რიგითი ქვეყნის როლს არ სჯერდება.

მართალია, სოფიასთან, ხაკასთან და ალმა ათასთან ერთად ოფიციალურ კანდიდატთა მიღმა დავრჩით - თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლა გააგრძელეს სოჭმა (რუსეთი), ზალცბურგმა (ავსტრია) და პიონჩანმა (კორეა) - მაგრამ კანდიდატობისთვის გამართულ ბრძოლაში დიდი გამოცდილება მივიღეთ.

ყურები რომ არ უნდა ჩამოყაროთ, ესეც ფაქტია. მაგალითისთვის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის - ვანკუვერის (კანადა) გამოცდილებაც კმარა, რომელიც 30 წლის განმავლობაში ცდილობდა ოლიმპიური დედაქალაქის სტატუსის მოპოვებას. იგივე მიზნისთვის შვიდ-შვიდჯერ იბრძოლეს ბუენოს აირესმა და დეტროიტმა, ექვსჯერ - ბუდაპეშტმა, ოთხ-ოთხჯერ - ჩიკაგომ და ლოზანამ, სამ-სამჯერ - ფილადელფიამ და მინეაპოლისმა. ლოს ანჯელესს კი მხოლოდ მერვე ცდაზე ერგო თამაშების მასპინძლობის პატივი. ასეთი მაგალითი არაერთია.

"მიმაჩნია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მიღებული გადაწყვეტილება არაკორექტული იყო. ვფიქრობ, საქართველო უნდა მოხვედრილიყო კანდიდატებს შორის. და მაინც, ჩვენ არ წაგვიგია. მივიქციეთ მსოფლიოს ყურადღება. მთავარია, რომ ბრძოლა დავიწყეთ და მივიღეთ გამოცდილება, რომელიც სამერმისოდ გამოგვადგება", - თქვა სეოკ-ის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა.

ერთი სიტყვით, 2014 წლის თეთრი ოლიმპიადისთვის ბრძოლაში ჩაბმულ შვიდ ქალაქს შორის ერთადერთი გამოუცდელი ბორჯომი გახლდათ და მისგან გამარჯვებას პირველივე ცდაზე არავინ ელოდა.

საგულისხმოა, რომ ბორჯომს აპლიკანტ (განმცხადებელ) ქალაქებს შორის მეორე ადგილი ეკავა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ღია ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგების მიხედვით!

გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბრძოლა 2018 წლის თამაშებისთვისაც გრძელდება. მეორე ნაბიჯს ვერავინ გადადგამს, თუ პირველი არ გადაიდგა. პირველი ნაბიჯი კი გადადგმულია.

"ეს ნაპერწკალი არ უნდა ჩაქრეს. თანხა, რომელიც სეოკ-მა ლოზანაში გადაიხადა (საუბარია 500 ათას დოლარზე), თითქოს დაიკარგა, მაგრამ არაფერი დაკარგულა, - განაცხადა პატარკაციშვილმა, - წაგებიდან სერიოზული მოგება მივიღეთ. მივიქციეთ მსოფლიოს ყურადღება. ახლა უფრო ამბიციურები უნდა გავხდეთ. საქართველო აუცილებლად მიაღწევს შედეგს".

## დონადონი ექვს ქულას გეგმავს



იტალიის ნაკრებმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საკმაოდ სუსტად დაიწყო. ორი მატჩის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონებს სულ ერთი ქულა აქვთ და თუ ოქტომბერში უკრაინისა და საქართველოს გუნდებთან "სკუადრა აძურა" ქულებს დაკარგავს, შესაძლოა დონადონის თანამდებობაც დაატოვებინონ.

სექტემბერში იტალიელთა სუსტ თამაშს გარკვეული ახსნა ჰქონდა. ჯერ ერთი, იტალიაში ჩემპიონატი 10 სექტემბერს დაიწყო და იტალიის ნაკრების ფეხბურთელები ოპტიმალურ ფორმაში ნამდვილად არ იყვნენ. მეორეც, დონადონიმ ვერაფრით ვერ მოახერხა უძლიერესი შემადგენლობის შეკრება. მსოფლიო ჩემპიონები ნაკრებში თამაშს უარობენ. მაგალითად, დონადონიმ ჯერაც ვერ დაითანხმა ფრანჩესკო ტოტი, რომ ნაკრებში დაბრუნდეს. თუმცა, ვითარება იცვლება და, სავარაუდოდ, ტოტი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებმაც ამ ზაფხულს იტალიის ნაკრებს გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანეს, ნაკრებში ბრუნდებიან და ალბათ საქართველოშიც ითამაშებენ.

"რასაკვირველია, მინდა, რომ ჩემს გუნდში მსოფლიო ჩემპიონები თამაშობდნენ, მაგრამ ბოლო სიტყვა მათზეა. ყველამ მშვენივრად იცის, რომ მე ის კაცი არ ვარ, ვისაც საყვარელი და არასაყვარელი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ, მაგალითად, ტოტის მსგავს ფეხბურთელს მეორეს ვერასად ვნახავ და ნაკრებს ძალიან სჭირდება მისი დაბრუნება.

ახლა მხოლოდ მომდევნო ორ მატჩზე ვფიქრობ. ჩვენ ექვსი ქულის აღება გვჭირდება და იმედი მაქვს, ყველა ფეხბურთელი, რომლებსაც ნაკრებში გამოვიძახებ, შეძლებს თამაშს. ფრანჩესკო ტოტი კი ცალკე თემაა. თავადაც ნახეთ, ის მშვენიერ ფორმაშია. მინდა, რომ მან ნაკრებში ითამაშოს, მაგრამ გადაწყვეტილება თავად ფრანჩესკომ უნდა მიიღოს. მხოლოდ ერთს ვიტყვი - ნაკრებს ტოტი სჭირდება. ახლა მეტად რთულ მდგომარეობაში ვართ. დაკარგული ოთხი ქულა, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაგვიჯდეს. მეტი წაფორხილების უფლება აღარ გვაქვს", - განაცხადა დონადონიმ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში.




"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## საუდის არაბეთი 72 ევროფაიტერს ყიდულობს

B3

### Toshiba ევროპაში მეორე ქარხანას აშენებს

იაპონური კომპანია Toshiba-მ პოლონეთის ხელისუფლებასთან ქვეყნის .ტერიტორიაზე ქარხნის მშენებლობის ნებართვა მიიღო. Toshiba პოლონეთში ტელევიზორებისთვის თხევადკრისტალური მონიტორების წარმოებას დაიწყებს.

იაპონური კომპანიის ქარხანის მშენებლობა პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთში ქალაქ კობერჟიცეში უკვე დაწყებულია და ის სავარაუდოდ 2007 წლის აგვისტოსთვის გაიხსნება. მისი მშენებლობა 50 მილიონი დოლარი დაჯდა. კომპანია Toshiba-ში აცხადებენ, რომ წარმოების მოცულობა საწყის ეტაპზე ჯერ დადგენილი არ არის, ორი წლის შემდეგ კი ქარხანა ყოველწლიურად 2 მილიონ მონიტორს გამოუშვებს. Toshiba-ს პოლონური ქარხანა ევროპაში მეორეა. პირველი ქარხანა კი დიდ ბრიტანეთშია.

### ყველაზე ეკონომიური ავტომობილი სტუდენტებმა შექმნეს

ბრიუსელში მსოფლიოში ყველაზე ეკონომიური ავტომობილის პრეზენტაცია გაიმართა. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ავტომობილს სამი ათასი კილომეტრის გავლა ერთი ლიტრი საწვავით შეუძლია. მსოფლიოში ყველაზე ეკონომიური ავტომობილის შემქმნელები საფრანგეთის ქალაქ სან-სებასტიანის ტექნიკური ლიცეუმის სტუდენტები არიან. ავტომობილის სახელწოდებაა "მიკროჯოული". მისი წონა დაახლოებით 30 კილოგრამია, სიგრძე - 3 მეტრი, სიგანე - 0.7 მეტრი, სიმაღლე კი 0,5 მეტრი. ავტომობილი ბიოეთანოლზე მუშაობს და ის ევროპის ეკოლოგიური მარათონის გამარჯვებულია. ამერიკული სააგენტო EPA-ს (ბუნების დაცვის ორგანიზაცია) რეიტინგის თანახმად სერიული წარმოების ავტომობილებს შორის, ყველაზე ეკონომიური იაპონური ჰიბრიდი - Honda Insight-ი ითვლება. ის ას კილომეტრს 3,8 ლიტრი საწვავით გადის.



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3119 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9859 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4751 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7450 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8148 |
| 1 | ბურგალური ლეი | BGL | 1,1341 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2973 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3043 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2167 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4175 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3356 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1855 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1484 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2885 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1899 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2498 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3998 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5589 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1498 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4114 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3096 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2675 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5600 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5862 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0652 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1036 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4520 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5159 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4204 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4761 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8128 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0343 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1384 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4434 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2401 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3898 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0778 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2197 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2242 |




# "ფეროში" ხმაურით დაწყებული სკანდალი უხმაუროდ სრულდება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

*სს "გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" ირგვლივ გასული წლის ბოლოს დაწყებული ხმაურიანი სკანდალი უხმაუროდ სრულდება. საწარმოს აქციონერებს - "DCM დეკომეტალსა" და "ფეროს" ფაქტობრივ მმართველებს - კოკაია-კაპანაძეს შორის წარმოშობილი დავა, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყდა. საქართველოს მთავრობასთან საერთო ენის გამოძებნა კოკაია-კაპანაძის ტანდემმა ბრიტანული კომპანია "სტემკორის" (STEMCOR) საშუალებით მოახერხა, რომელსაც მათ "ფეროს" აქციები მიმალვაში ყოფნის დროს 30 მილიონ დოლარად მიჰყიდეს. კომპანია "სტემკორთან" საქართველოს მთავრობამ მემორანდუმი უკვე გააფორმა. ამ მემორანდუმის საფუძველზე, ბრიტანულმა ფირმამ 112 მილიონ დოლარად უნდა შეისყიდოს სს "ჭიათურმანგანუმი" და "ვარციხე ჰესების კასკადი". უკვე ცნობილია, რომ სექტემბრის ბოლოს ხელი მოეწერება ხელშეკრულებას, რომლითაც "სტემკორი" პირდაპირი მიყიდვის წესით 57 მილიონ დოლარად შეიძენს "ვარციხე ჰესების კასკადს".*



B2

# საქართველოს მთავრობამ ეკონომიკურ ზრდას სტიმული უნდა მისცეს

ინტერვიუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივ წარმომადგენელთან საქართველოში რობერტ კრისტიანსენთან

ანდრო ჯუღალაკიანი
*პრაიმ-ნიუს ბიზნესი*

**- რა ძირითადი საკითხები იქნება განხილული საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) და მსოფლიო ბანკის ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაზე სინგაპურში 19-20 სექტემბერს?**

- შეხვედრაზე განიხილება მრავალი საკითხი. შედგება მრავალი ორმხრივი შეხვედრა; წევრი სახელმწიფოების მთავრობებს და მსოფლიო ბანკის და სსფ-ს წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ განიხილონ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები. მაგალითად, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ქვეყნის განვითარების პერსპექტივების განსახილველად სსფ-ს ხელმძღვანელობას შეხვდება.

ზოგადად, დღის წესრიგში ორი ძირითადი საკითხი დგას. ესენია: ფონდში ხმის უფლებისა და წარმომადგენლობების განაწილების საკითხები. ფონდში მიმდინარეობს ხმის უფლებების გადანაწილება. მაშინ, როდესაც სსფ-ს მმართველთა საბჭოში ყველა ქვეყანა არის წარმოდგენილი, თითოეული ქვეყნის ხმათა რაოდენობა დამოკიდებულია მის ქვოტაზე. სსფ-ს განზრახული აქვს, დირექტორთა საბჭოში გაზარდოს სწრაფადგანვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლობა. ეს ცვლილება არ შეეხება დსთ-ს ქვეყნებს, არამედ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი და იაპონია.

მეორე მთავარი საკითხი არის მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა. განიხილება მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები და შესაძლებლობები.

გაგრძელება B4 გვერდზე



B4

# რუსეთი ევროპული აეროკოსმოსური გიგანტის თანამფლობელი გახდა

მერაბ ლორთქიფანიძე

*რუსეთის სახელმწიფო ბანკმა "ვნეშტორგბანკმა" ევროპული თავდაცვითი და აეროკოსმოსურ გიგანტ EADS-ის აქციების 5 პროცენტი შეიძინა. "ვნეშტორგბანკი" ყოფილი საბჭოთა კავშირისდროინდელი საგარეო ვაჭრობის ბანკის შთამომავალია. მან ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპანიის აქციები ჯერ კიდევ აგვისტოში შეიძინა, თუმცა მაშინ EADS-მაც და რუსულმა ბანკმაც მათ შორის გარიგების შესახებ ინფორმაცია არ დაადასტურეს.*

*ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, EADS-ის აქციების ფასი გაიზარდა, თუმცა ანალიტიკოსებისთვის ჯერაც უცნობია ის მოტივები, რომლებითაც რუსული ბანკი ხელმძღვანელობდა, როცა ევროპული კონსორციუმის აქციებს ყიდულობდა.*

*არის ვარაუდი, რომ აქციების რუსებისთვის მიყიდვით, EADS-ს გზა გაეხსნება რუსული აეროკოსმოსური საწარმოებისკენ, რომლებიც მალე ერთ დიდ კონსორციუმში გაერთიანდება. პარალელურად, რუსებიც დაინტერესებულნი არიან ევროპელ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი გამოცდილების გაზიარებით.*




B3

## ფინანსთა მინისტრმა ორ სასესხო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მეწარმეებთან შეხვედრას განაგრძობს.

ქუთაისში სამეწარმეო გარემოსა და საინვესტიციო პროგრამების მიმდინარეობის გასაცნობად ჩასულმა მინისტრმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელთან ერთად სასესხო ხელშეკრულებას - "ქუთაისის წყალმომარაგების პროექტს" მოაწერა ხელი.

ხელშეკრულება ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის 3 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას ითვალისწინებს.

ალექსი ალექსიშვილმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა გზების აღდგენითი სამუშაოებიც დაათვალიერეს, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

ფინანსთა მინისტრმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა იმავე დღეს ფოთში კიდევ ერთ სასესხო ხელშეკრულებას - "ფოთის წყალმომარაგების პროექტს" მოაწერეს ხელი, რომელიც ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის 2,5 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

## სახალხო დამცველი "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533-ე მუხლს ეწინააღმდეგება

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533-ე მუხლის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას ითხოვს.

მას "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციათა მფლობელებმა კოლექტიური განცხადებით მიმართეს, რომლის თანახმადაც კომპანიის აქციათა 95% ერთი პირის საკუთრებაშია და დანარჩენ აქციათა მფლობელებს, "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533 მუხლის I ნაწილის საფუძველზე, თავიანთი აქციების გაყიდვას აიძულებს. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ მათი საკუთრების კონსტიტუციური უფლება ირღვევა.

კანონის აღნიშნული მუხლი აქციათა 95%-ზე მეტის მფლობელს სხვა აქციების გამოსყიდვის უფლებას აძლევს, დანარჩენ აქციონერებს კი აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი ფასის მიღების უფლება რჩებათ.

სახალხო დამცველმა აღნიშნული საკითხი შეისწავლა და მიიჩნევს, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533 მუხლის I ნაწილი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. ამავდროულად, ითხოვს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მუხლის მოქმედება სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციონერთა მიმართ შეჩერდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტის მოცულობა 7 მილიონ 123 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა

საქართველოს მიერ სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტის მოცულობა, მიმდინარე წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, 93 მილიონ 157 ათასი დოლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტის მოცულობა 7 მილიონ 123 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ საქართველოს მიერ აღებული კრედიტის მოცულობა 34 მილიონ 661 ათას დოლარს, ხოლო გერმანიისგან კი 58 მილიონ 496 ათას დოლარს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო ოდენობა 1 მლრდ. 759 მლნ. 774 ათას დოლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სავალუტო რეზერვებიდან შემოსავლები 90 პროცენტით გაიზარდა

მიმდინარე წლის რვა თვეში საერთაშორისო სავალუტო რეზერვებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 23,6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებზე 90,3 პროცენტით მეტია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის უმაღლესი კატეგორიის ბანკებში დეპოზიტებსა და სხვადასხვა ფასიან ქაღალდებშია განთავსებული.

**"მნიშვნელოვანია სავალუტო რისკების დივერსიფიცირება და რეზერვების მართვით მისაღები შემოსავლების გაზრდა. ამასთან, რეზერვების გადანაწილების პროპორცია მოსახერხებელი უნდა იყოს იმდენად, რომ ქვეყანა შეუფერხებლად მოემსახუროს საგარეო ვალებს, რომლებიც, ძირითადად, აშშ დოლარითაა დენომინირებული,"** -აცხადებენ ეროვნულ ბანკში. მათივე ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, საერთაშორისო სავალუტო რეზერვების 70% განთავსებულია აშშ დოლარებით, 30% - ევროთი.

საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და, 12 სექტემბრის მდგომარეობით, 625 მლნ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 41,3 პროცენტით მეტია.

1995 წლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ ბანკს ყველაზე ნაკლები მოცულობის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 1998 წლის 8 დეკემბერს ჰქონდა. მათი მოცულობა დაახლოებით 62 მლნ დოლარი იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## შვედები ნავთობმოპოვების გაზრდით დაინტერესდნენ

შვედურმა კომპანიებმა "კეპეტალ ოილმა" და "სადკორა ენერჯიმ" ივანო-ფრანკოვსკის ოლქში, ბოგოროდჩანსკის რაიონში ნავთობის 50 "დაკონსერვებული" ჭაბურღილის აღდგენა გადაწყვიტეს.

ამ საქმეში კომპანიები 40 მილიონი ევროს ინვესტირებას მოახდენენ. პროექტი 2006-2008 წლებზეა გათვლილი. შეთანხმებას ამის შესახებ შვედური კომპანიებისა და ივანო-ფრანკოვსკის ოლქის ხელმძღვანელობამ 7 სექტემბერს მოაწერა ხელი.

შვედური კომპანიები "კეპეტალ ოილი" და სადკორა ენერჯი" ნავთობმომპოვებელ სამუშაოებს აწარმოებენ ავსტრალიაში, ახალ გვინეაში, ყაზახეთში, რუსეთსა და ნორვეგიის ზღვის შელფზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

# "ფეროში" ხმაურით დაწყებული სკანდალი უხმაუროდ სრულდება

პირველი გვერდიდან

**"მემორანდუმში აღნიშნულია, რომ "სტემკორი" შემოდის "ფეროშიც" და სწორედ აქედან გამომდინარე გაუჩნდა მას ინტერესი "ჭიათურმანგანუმში,"** - აცხადებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია.

**"სტემკორის" წარმომადგენლებმა მე ვერანაირი დოკუმენტი ვერ წარმომიდგინეს, რომ ისინი "ფეროს" მფლობელები არიან. უბრალოდ, დადიან და გაიძახიან, რომ კოკაიასგან და კაპანაძისგან "ფეროს" აქციები იყიდეს. მე მაქვს ოფიციალური ამონაწერი რეესტრიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ ფლობის კუთხით "ფეროში" არანაირი ცვლილება არ მომხდარა, მათ შორის, არც "ფეროს" მფლობელი ფირმის "სელრომექსის" აქციებში. უფრო მეტიც, რომელი ჭკუათმყოფელი იყიდდა კოკაიასგან და კაპანაძისგან აქციებს 30 მილიონ დოლარად მაშინ, როცა ქარხანაში საგადასახადო ინსპექცია ზის და 60 მილიონ ვალს ედავებიან?"** - ამბობს კომპანია "DCM დეკომეტალის" წარმომადგენელი გიგა ბედინეიშვილი.





### როგორ დაედო ვალები მომგებიან ქარხანას?

**"იცით, ვისი ვალი აქვს ქარხანას? - გიორგი კაპანაძისა და ილია კოკაიასი. ვალები მაშინ წარმოიშვა, როცა კოკაიამ ქარხნის მმართველობის მონოპოლიზაცია მოახდინა. მან "ფეროს" მოგება კომპანია "ბეტაკონტაქტში" გაუშვა. "ბეტაკონტაქტი" კოკაიას საკუთარი ფირმა გახლავთ, რომელიც "ფეროდან" პროდუქციას 400 დოლარად ყიდულობდა და თვითონ 1000 დოლარად ყიდდა. ამას გარდა, ამ ფირმას შემოჰქონდა "ფეროში" კოქსი ორმაგ ფასად. შედეგად "ფეროს" 30 მილიონი დოლარის ვალი დაუგროვდა "ბეტაკონტაქტის" წინაშე. ამ პერიოდში კოკაიამ "ფეროს" აღმასრულებელ დირექტორად თავისი ძმა - კორნელი კოკაია დანიშნა. კოკაიამ და მისმა მეგობრებმა ერთ წელიწადში მიიყვანეს ქარხანა გაკოტრების ზღვარზე: მარტო 2004 წელს, როცა ქარხანას, ყველანაირი გათვლებით, 40 მილიონი დოლარი მოგება უნდა მიეღო, რეალურად 13 მილიონი წაგება ჰქონდა,"** - აცხადებს გიგა ბედინეიშვილი.

მთელი ეს სქემა ცნობილი 2006 წლის 14 თებერვალს გახდა, როცა ქარხანაში შესამოწმებლად ფინანსური პოლიცია შევიდა. ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებს მაშინ ქარხანაში თან გიგა ბედინეიშვილიც შეჰყვა, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად. ბედინეიშვილი იხსენებს, რომ "DCM დეკომეტალმა" იგი ქარხანაში მას შემდეგ მიავლინა, რაც ფინანსურმა პოლიციამ აღნიშნული კომპანიისგან, როგორც "ფეროს" ერთ-ერთი მფლობელისგან, ფინანსური დოკუმენტაცია გამოითხოვა.

ფინანსურმა პოლიციამ "ფეროს" ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის საქმე 2005 წლის 30 დეკემბერს აღძრა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებისა და საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის ფაქტებზე. ფინანსური პოლიციის სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველოს სარევიზიო ჯგუფმა მაშინ შუალედური დასკვნაც გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია: **"საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ სს "ფეროს" გადასახდელად დაერიცხა ძირითადი თანხის სახით 52,2 მილიონი ლარი და ჯარიმის სახით 31,5 მილიონი ლარი. ასევე, ფინანსური პოლიციის მიერ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე საბაჟო დეპარტამენტის მიერ სს "ფეროს" გადასახდელად დაეკისრა ძირითადი თანხა 22,6 მილიონი ლარის ოდენობით".** სულ "ფეროზე" დარიცხულმა თანხამ 106,3 მილიონი ლარი შეადგინა. შუალედურ დასკვნაში, ასევე, ნათქვამია: **"აღნიშნულის შესახებ არაერთხელ ეცნობა სს "ფეროს" გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკოლოზ ჩიქოვანს და ეთხოვა მას, გამოძიების სრულყოფისათვის მოევლინა უფლებამოსილი წარმომადგენელი, რაც დღემდე არ მომხდარა".** ჩიქოვანმა და კოკაიამ თავს ქვეყნიდან გაქცევით უშველეს.

მიმალვაში მყოფმა კოკაიამ "ფეროს" თანამშრომლებს ხმა მიაწვდინა, რომ კუთვნილი აქციები ბრიტანულ კომპანია "სტემკორს" მიჰყიდა, რასაც ქარხანაში "სტემკორის" წარმომადგენლის ალეკო ანთიძის გამოჩენა მოჰყვა.

**"სტემკორი" საქართველოში არამარტო "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში" შემოვიდა. ჩვენი კომპანია ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს საქართველოში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ბევრ სხვა კომპანიასაც მოიყვანს აქ არა მარტო ბრიტანეთიდან, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან,"** - ამბობს ალეკო ანთაძე.

ერთი თვის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით იმართებოდა "სტემკორის" ხელმძღვანელის დეივიდ ფექტორისა და "DCM დეკომეტალის" დირექტორის როტრაუტ სკაჩე დეპიშის ვიზიტები და ბრიფინგები საქართველოში. თითოეული მათგანი ირწმუნებოდა, რომ "ფეროს" აქციების მფლობელი იყო. სკაჩე დეპიშს იმის გახსენებაც მოუხდა, რომ "ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეჭირა, თუმცა საქართველოში ვიზიტისას მას შეატყობინეს, რომ პოსტიდან მიმალვაში მყოფმა ყოფილმა კომპანიონებმა უპრობლემოდ გაათავისუფლეს: "სელრომექსის" 2006 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილება შეუწყდა "ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს: როტრაუტ სკაჩე დეპიშს, ილია კოკაიას, დევი დუნდუას, გიორგი კაპანაძეს, ვასილ დავითაიას, ლერი ბეგაძეს, ნინო კოკაიას, იუზა ცქიტიშვილსა და კობა ნაყოფიას. მათ ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭოში ახალი წევრები აირჩიეს, კერძოდ, ბრიტანეთის მოქალაქეები: დეივიდ მაიკლ ფექტორი, ალექსანდრე კაციაპისი და დეივიდ ჯონ პოული. ხელშეუხებელი აღმოჩნდა "ფეროს" გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ჩიქოვანი, თუმცა იმის გამო, რომ ჩიქოვანი ქარხნიდან და ფეროდან გაიქცა, "ფეროს" ხელმძღვანელობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს ნუგზარ იაშვილს დაეკისრა, ცხადია, "სტემკორისა" და "DCM"-ის წარმომადგენლებთან (ალეკო ანთაძესა და გიგა ბედინეიშვილთან) ერთად.

"სტემკორის" წარმომადგენლებმა 2006 წლის 22 თებერვალს აცნობეს საქართველოს მთავრობასა და საზოგადოებას, რომ მათ "ფეროს" აქციების 96,3%-ის მფლობელი კომპანია "სელრომექსის" წილის 73,12%-ის მფლობელი კომპანიების "FONTWELL"-ისა და "ACREMAR"-ის აქციების 100% შეისყიდეს.

"სტემკორის" ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ ამ კომპანიის სათაო ოფისი დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, ქალაქ ლონდონშია განთავსებული და მისი მთავარი პროფილი ლითონით ვაჭრობაა, თუმცა იქვე არაფერია ნათქვამი საქართველოში მათი ბიზნესის გაფართოების თაობაზე.

### ვინ არის "ფეროს" მფლობელი?

"ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" და "ჭიათურმანგანუმი" ის საწარმოებია, რომლებიც იმერეთის რეგიონისადმი მუდმივი ინტერესის ერთადერთ საშუალებებს წარმოადგენენ. წარსულ დროში არავისთვის იყო საიდუმლო, რომ "ფერო" პრეზიდენტ შევარდნაძის ოჯახის ერთ-ერთ ბიზნესწყაროს წარმოადგენდა. დღეს კი საქართველოს მთავრობიდან დანამდვილებით არავინ იცის, ვინ არის ამჟამად "ფეროს" ოფიციალური მფლობელი. ქუთაისში ვიზიტით მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ამ საკითხზე მომავალ დროში ისაუბრა: **"ფეროში" ყველაფერი კარგად იქნება,"** - თქვა ზურაბ ნოღაიდელმა.

აწმყო დროში კი "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" აქციონერთა რეესტრს ასეთი სახე აქვს: **აქციების 96,3%-ს კომპანია "სელრომექსი" (Selromex Holdings Limited) ფლობს, 1%-ს - "Ronly Holdings Limited" და 2,7%-ს - დანარჩენი ფიზიკური და იურიდიული პირები.**

"სელრომექსი" კვიპროსული კომპანიაა, რომლის აქციების 26,88%-ს ავსტრიული კომპანია "DCM დეკომეტალი" (DCM DECOmetal International Trading GmbH) ფლობს, დანარჩენს კი კომპანიები - "Fontwell Services Limited" (46,78%) და "ACREMAR Beteiligungsverwaltungs GmbH" (26,34%) ფლობენ. თუმცა, ფაქტობრივად, "სელრომექსის" აქციების 73,12%-ის მფლობელები ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე არიან.

ფირმა "აკრემარის" მისამართად ინტერნეტში ქალაქი ვენაა მითითებული, სადაც საქართველოდან გაქცეულმა ჩიქოვანმა და კოკაიამ შეაფარეს თავი.

**"თუ კოკაია და კაპანაძე "სელრომექსის" აქციების გაყიდვას გადაწყვეტენ, ეს, პირველ რიგში, "DCM"-ს უნდა შესთავაზონ, რაც არ მომხდარა და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ "სტემკორს" მათგან არანაირი აქციები არ უყიდია,"** - ამბობს გიგა ბედინეიშვილი.

ავსტრიული თრეიდინგული კომპანია "DCM დეკომეტალი" ზესტაფონის "ფეროში" პირველად 2003 წელს გამოჩნდა, როცა მან "ფეროს" სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციები (51%) შეისყიდა. აქციების დანარჩენი 49% სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1998 წელს გაყიდა.

**"ჩვენ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ პრემიერ-მინისტრთან და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან "ფეროს" თაობაზე. "DCM"-ი მზადაა, გამოისყიდოს აქციები კოკაიასგან. ასევე, ჩვენ შევთავაზებთ სახელმწიფოს "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხჰესის" ყიდვას,"** - ასეთი გეგმები პრეზიდენტ სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში გიგა ბედინეიშვილმა ორი თვის წინ დასახა ჩვენთან საუბარში, თუმცა დღეს უკვე ცნობილია, რომ ამ გეგმებს რეალიზაცია არ უწერია, ყოველ შემთხვევაში - ჯერჯერობით. მაგრამ გამორიცხულიც არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობა "ჭიათურმანგანუმსა" და "ვარციხ-ჰესს" უკვე მეორედ ყიდის. ეს საწარმოები გასული წლის ბოლოს რუსულმა კომპანია "ევრაზ ჰოლდინგმა" 132 მილიონ დოლარად იყიდა, მაგრამ მოულოდნელად გადაიფიქრა. სხვათა შორის, მაშინდელ აუქციონში "ევრაზ ჰოლდინგს" მეტოქეობას "ფეროს" ჯგუფიც უწევდა, რაც ამ უკანასკნელთა მარცხით დასრულდა. თუმცა, როგორც ჩანს, ბრიტანული კომპანიის მანტიის ქვეშ წელს ამ ჯგუფის შანსები აშკარად გაიზარდა.

### რატომ იბრძვიან "ფეროს" დასაპატრონებლად?

"ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" ორი სახის მანგანუმის შენადნობს აწარმოებს: საშუალონახშირბადიან ფერომანგანუმსა და ფეროსილიკომანგანუმს, რომლებსაც საზღვარგარეთ ყიდის.

**"გასულ წელს "ფერომ" 154 000 000 ლარის პროდუქცია გამოუშვა. "ფეროს" პროდუქცია მთლიანად ექსპორტზე გადის და მას მსოფლიო ბაზრის 4% უკავია. "ფერო" ყველაზე სტრატეგიული ობიექტია იმერეთში და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მთელ საქართველოში, რა თქმა უნდა, "ჭიათურმანგანუმთან" ერთად,"** - ამბობს იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ქაჯაია.

ქუთაისის ეკონომიკური ლიცეუმის დირექტორი და ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში რამაზ ნამიჭეიშვილი კი აღნიშნავს, რომ ზესტაფონის "ფეროს" მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს სცდება: **"ფერო" ისეთ პროდუქციას აწარმოებს, რომ მისი შესყიდვის სურვილი არა მარტო ქართველებს, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აქვთ, ამიტომაცაა ბევრი დაინტერესებული პირი. ჩვენ უნდა ჩავთვალოთ, რომ ხელში გვიჭირავს ისეთი პროდუქცია, რომელიც მსოფლიო ინტერესის საგანია და ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიმართულებას მივცემთ ამ საწარმოს, რათა რაც შეიძლება მეტი მოგება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას."**

"ფეროს" ლოკალურ მნიშვნელობაზე თუ ვიმსჯელებთ, ეს ყოველთვიურად 100 ათასი ლარია, რომელსაც ის ბიუჯეტში იხდის. უფრო ლოკალურად კი, ამ ქარხნით მასში დასაქმებული 3000 ადამიანი არჩენს ოჯახს, რომელთა ხელფასი საშუალოდ 200-დან 500 ლარამდე მერყეობს.

### სავარაუდო კონტურები

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობასა და "სტემკორს" შორის გაფორმებული მემორანდუმი საქმედ იქცა და ბრიტანულმა კომპანიამ გაკოტრების რეჟიმში მომუშავე "ჭიათურმანგანუმი" და ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჰესი "ვარციხე ჰესების კასკადი" მართლაც შეიძინა, ცხადია, ამას ზესტაფონის "ფეროში" შვიდი თვის წინ გაქცეული, თუმცა დღემდე მიმალვიდან მოქმედი გენერალური დირექტორის ნიკა ჩიქოვანის დაბრუნებაც მოჰყვება. მთელი ამ დავიდარაბიდან ჯერჯერობით გაურკვეველი ისიც რჩება, თუ ვინ აანაზღაურებს "ფეროში" გადასახადების დამალვისა და თანხების მითვისების შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალს, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ შუალედურ დასკვნაში 106,3 მილიონ ლარად შეაფასა.

## "საქართველოს რკინიგზამ" სახელმწიფო ბიუჯეტში 39,156 მლნ ლარი შეიტანა

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის იანვარ-აგვისტოში 15 მლნ 208 ათასი ტონა ტვირთია გადაზიდული, რაც 2005 ანალოგიური პერიოდის მონაცემებს 3 მლნ 370 ათასი ტონით აღემატება, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს კომპანიის პრესსამსახურიდან. 2006 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, ტვირთბრუნვის მაჩვენებელმა კილომეტრზე 5 032 მლნ ტონა შეადგინა. 2005 წლის მაჩვენებელთან შედარებით, წლევანდელი მონაცემები კილომეტრზე 1 177 მლნ ტონით მეტია. მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში, საქართველოს რკინიგზით 9 507 000 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტებია გადაზიდული. აღნიშნული მაჩვენებელი 2005 წლის მონაცემებს 2 373 000 ტონით აღემატება. 2006 წლის იანვარი-აგვისტოს თვეებში საქართველოს რკინიგზით 5 700 ათასი ტონა მშრალი ტვირთი იქნა გადაზიდული. აღნიშნული მაჩვენებელი 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 996 ათასი ტონით მეტია. შპს "საქართველოს რკინიგზის" ინფორმაციით, რკინიგზაზე მგზავრთა ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2006 წლის რვა თვის განმავლობაში 2 მლნ 533 ათასი მგზავრია გადაყვანილი. 2005 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს რკინიგზით წელს 200 ათასი მგზავრით მეტი იქნა გადაყვანილი. იანვარი-აგვისტოს მონაცემებით, სატვირთო გადაზიდვებიდან შემოსავლებმა 196 მლნ 122 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო სამგზავრო გადაყვანებიდან შემოსავალი 10 მლნ 043 ათასი ლარია. 2006 წლის რვა თვის მონაცემებით, საქართველოს რკინიგზის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადის სახით 39 მლნ 156 ათასი ლარია შეტანილი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## დასაქმების მსურველთა რეგისტრაცია 30 სექტემბრამდე გაგრძელდება

"პროფესიული გადამზადების" პროგრამაში ჩართვის მსურველთათვის რეგისტრაციის ვადა 30 სექტემბრამდე გაგრძელდება. პრაიმ-ნიუსს ბიზნესს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში განუმარტეს, რომ რეგისტრაციის ვადის გაგრძელება პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა დიდმა რაოდენობამ განაპირობა. აღნიშნული ვადა 18 სექტემბერს იწურებოდა და მსურველთა უმრავლესობა რეგისტრაციის გავლას ვერ ასწრებდა. ამ დროისთვის რეგისტრაცია დასაქმების 30 ათასმა მსურველმა გაიარა. მათგან 15 ათასი უკვე დასაქმებულია. "პროფესიული გადამზადების" პროგრამაში მონაწილეთა მსურველთათვის სარეგისტრაციო პუნქტები, დედაქალაქის გარდა, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ფოთში, თელავში, გორში, ახალციხეში, ზუგდიდსა და ოზურგეთშია გახსნილი. კანდიდატებს განაცხადში რამდენიმე სპეციალობის შერჩევის და სამი გეოგრაფიული ადგილის მითითების საშუალება აქვთ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მონაწილეები 3 თვის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა კომპანიებში იმუშავებენ და სახელმწიფო მათ ხელფასის სახით, სამი თვის მანძილზე, თვეში 150 ლარს გადაუხდის. წლის ბოლომდე 50 ათასი უმუშევარი დასაქმდება. "პროფესიული გადამზადების" პროგრამისთვის ბიუჯეტიდან 25 მილიონი ლარია გამოყოფილი. **პრაიმ-ნიუსი ბიზნესი**

## თბილისში სამდღიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა

"მყარი მასალების სედიმენტაციის და მილსადენი ტრანსპორტის დარგის მეცნიერთა საერთაშორისო კომიტეტის" კონფერენციაზე მეცნიერები მსოფლიოს 16 ქვეყნიდან ენერგეტიკულ საკითხებზე მსჯელობენ და უახლეს ტექნოლოგიებსა და მეცნიერულ მიღწევებს ეცნობიან. სამდღიანი კონფერენცია გუშინ სასტუმრო "გეორგიაში" გაიხსნა და მას ქართველი ექსპერტი, კომპანია "ჯეოინჟინერინგის" დირექტორი თემურ გოჩიტაშვილი ხელმძღვანელობს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ მეცნიერები კანადიდან, პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, ნიგერიიდან, აშშ-დან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბულგარეთიდან, ირანიდან, ნიდერლანდებიდან, ბელგიიდან, ბრაზილიიდან და სხვა. "ჩვენთვის კონფერენცია მნიშნელოვნაია არა მხოლოდ ახალი მეცნიერული მიწღევებისა და კვლევების გაცნობის თვალსაზრისით, არამედ ყურადსაღებია გაზისა და ნავთობის მილსადენების რთულ რელიეფურ პირობებში გაყვანისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. ასევე კონფერენცია ჰესების ნალექისაგან გაწმენდის მეთოდებს სწავლობს და სხვა აქტუალურ პრობლემებს ეხება," - განაცხადა გოჩიტაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## რუსეთი აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ნავთობის ექსპორტის გაზრდას გეგმავს

რამდენიმე წელიწადში რუსეთის ფედერაცია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ნავთობის ექსპორტს გაზრდის, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა "დიდი რვიანის" ქვეყნების პარლამენტარების შეკრებაზე განაცხადა. მისივე ინფორმაციით, დღეისთვის ამ ქვეყნებში რუსეთიდან იმპორტირებული ნავთობი მთლიანი იმპორტის 3 პროცენტს არ აღემატება. უახლოეს მომავალში კი, პრეზიდენტის მტკიცებით, ეს მაჩვენებელი 30 პროცენტამდე გაიზრდება.

ვლადიმირ პუტინს ამ განცხადების გაკეთების საფუძველს აძლევს ამოქმედება იმ პროექტებისა, რომელიც ნავთობის იმპორტზეა ორიენტირებული. მისივე ინფორმაციით, უკვე დაიწყო ფუნქციონირება სამხრეთ-ევროპულმა ნავთობსადენმა. მიმდინარეობს ჩატვირთვა ციმბირი-წყნარი ოკეანის აუზის ნავთობსადენისა, ახლახან კი დასრულდა მოლაპარაკებები ბულგარეთისა და საბერძნეთის მთავრობებთან, ბურსა-ალექსანდროპოლისის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ.

"მხოლოდ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით მივაღწევთ დადებით შედეგებს," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ესტონეთი მსოფლიო ბანკის მოვალე აღარ იქნება

ესტონეთი მსოფლიო ბანკის მოვალე აღარ არის და მალე მას კრედიტორი ქვეყნის სტატუსს მიანიჭებენ. შესაბამის შეთანხმებას სინგაპურში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრაზე ესტონეთის ფინანსთა მინისტრმა აივარ სიერდმა და მბ-ს ვიცე-პრეზიდენტმა შიეგო კაცუმ მოაწერეს ხელი.

სიერდის განცხადებით, იმას, რომ ესტონეთი აღარ არის მსოფლიო ბანკის მოვალე, ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

**"ესტონეთის ეკონომიკამ საუკეთესო შედეგებს მიაღწია და მას შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს განვითარებად ქვეყნებს. ამ მიზნით ჩვენი ქვეყანა მალე, ალბათ, განვითარების საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანდება,"** - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ახალი წევრებიდან ეს პროცესი სლოვენიამ (2004 წ.) და ჩეხეთმა (2005 წ.) უკვე გაიარა.

ესტონეთთან ერთად მსოფლიო ბანკის მოვალეთა სიაში ლიტვაც აღარ ირიცხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბაქოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში გადამუშავებული ნავთობის მოცულობა გაიზარდა

აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გადამუშავებული ნავთობის საერთო მოცულობა 5 182 021 ტონას შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 11% მეტია. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაში შეატყობინეს. გადამუშავებული ნავთობის საერთო მოცულობიდან 2 774 024 ტონა "ჰეიდარ ალიევის", ხოლო 2 407 097 ტონა "აზნეფტიაგი"-ს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე მოდის. გასულ წელთან შედარებით, ნავთობის გადამუშავება "ჰეიდარ ალიევის" სახელობის ქარხანამ 298 090 ტონაზე, ხოლო "აზნეფტიაგმა" 214 023 ტონაზე გაზარდა.

მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში აზერბაიჯანში ნათელი ნავთობპროდუქტების წარმოება 260 ათას ტონაზე გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში 2 357 005 ტონა ნათელი ნავთობპროდუქტის წარმოება მოხდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანში ბიტუმის წარმოება შემცირდა

აზერბაიჯანში, მიმდინარე წლის აგვისტოში, 18 070 ტონა ბიტუმის წარმოება განხორციელდა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიაში შეატყობინეს. აღნიშნული მოცულობა წინასწარ განსაზღვრულს 2,1-ჯერ (9,8 ათასი ტონა) აღემატება.

მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში აზერბაიჯანში სულ 97,50 ტონა ბიტუმი იქნა წარმოებული. აღნიშნული მოცულობა განსაზღვრულ პროგნოზზე 33,2%-ით მეტია, რაც 24 300 ტონას შეადგენს, - აღნიშნეს აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიაში. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში წარმოებული ბიტუმის მიცულობამ 72 036 ტონა შეადგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# "ფორდი" დიდ შემცირებას იწყებს

მერაბ ლორთქიფანიძე



"ფორდი" ახალ რეფორმას შეუდგა. კომპანიამ გამოაცხადა, რომ თითქმის მესამედით შეამცირებს სამუშაო ადგილებს, რისი მეშვეობითაც, შესაძლებელი გახდება წლიური ხარჯის 5 მილიარდი დოლარით შემცირება. ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელობამ თავის აქციონერებს შეატყობინა, რომ მისი ბიზნესი კიდევ სამი წელი ვერ გახდება მომგებიანი.

გარდა ამისა, ცნობილი შეიქნა ისიც, რომ "ცისფერი ოვალი" ჯერჯერობით არ იჩქარებს მის მფლობელობაში მყოფი ინგლისური კომპანია "იაგუარის" გაყიდვას. იმავდროულად, "ფორდმა" შეაჩერა დივიდენდების გაცემა და გამოაცხადა, რომ მალე შეუდგება თავისი სამოდელო გამის საფუძვლიან განახლებას. სპეციალისტების მოსაზრებით, სწორედ დაძველებული სამოდელო გამაა კომპანიის დაუსრულებელი კრიზისის მთავარი მიზეზი.

ბოლო ხუთ წელიწადში ეს კომპანიის მიერ წამოწყებული მესამე დიდი რესტრუქტურიზაციაა, რომელიც 2012 წელს დასრულდება და რომელიც აღნიშნულ პერიოდში 16 ჩრდილოამერიკული ქარხნის დახურვას ითვალისწინებს. ეს კი მეტია იმაზე, რასაც მეორე რეფორმის გეგმა ითვალისწინებდა.

"ფორდის" გეგმა ასევე ითვალისწინებს 10 000 ეგრეთ წოდებული "თეთრი საყელოს" (საინჟინრო და მენეჯერთა პერსონალი) შემცირებას. ცნობისათვის, ახალი რეფორმის დაწყებამდე, კომპანიამ უკვე მოასწრო სამუშაოდან 4 000 "თეთრი საყელოს" გაშვება. ამასთან, ქვეყნის საავტომობილო პროფკავშირთან მიღწეული შეთანხმების მიხედვით, "ფორდი" კონტრაქტებს გამოისყიდის თავისი 75 000-ვე თანამშრომლისგან, რომელთაგან 30 000 მოსამსახურე 2008 წლამდე აუცილებლად დაკარგავს სამუშაოს.

"ფორდის" პრობლემები არც პირველია და არც უკანასკნელი ამერიკული ავტოინდუსტრიისთვის. ჯერ იყო და, "ჯენერალ მოტორსმა" შარშან უზამაზარი ზარალი ნახა, რის გამოც, რესტრუქტურიზაციის დაწყების შესახებ გამოაცხადა, რომელიც 12 ქარხნის დახურვას და ხარჯების 9 მილიარდი დოლარით შემცირებას ითვალისწინებს.

ახლახანს კი "დაიმლერკრაისლერმა" გამოაცხადა, რომ შესაძლოა, ეს წელი მისმა ამერიკულმა შტო "კრაისლერმა" 1.27-მილიარდდოლარიანი ზარალით დაასრულოს, რაც გაცილებით მეტია ადრე ნავარაუდებ ზარალზე. ამის მიზეზი კი იგივეა, რაც "გენერლებისა" და "ცისფერი ოვალის" შემთხვევაში - პიკაპებისა და უგზოობის ავტომობილების გაყიდვების მნიშვნელოვანი შემცირება.

"ფორდის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ კომპანია მომგებიან საქმიანობას 2009 წლისთვის დაუბრუნდება. თუმცა, რეფორმები ამის შემდეგაც გაგრძელდება. კერძოდ, დაგეგმილია დაახლოებით 6 მილიარდი დოლარის შესყიდვებზე დაზოგვა, რაც უნდა მოჰყვეს სხვადასხვა მოდელებში ერთნაირი მაკომპლექტებელი ნაწილების გამოყენებას და წარმოების ორგანიზების სრულყოფას. აღნიშნული რეფორმა 2010 წლისთვის უნდა დასრულდეს.

ყოველივეს მიუხედავად, უოლ სტრიტის ანალიტიკოსები უკმაყოფილონი არიან და ვარაუდობენ, რომ "ფორდი" კვლავ ერიდება რადიკალური რეფორმების გატარებას, რამაც შესაძლოა, არასასურველი შედეგები გამოიწვიოს. კერძოდ, ისინი გაოცებულნი არიან, თუ რატომ არ აპირებს "ფორდის" ახალი შეფი ალან მიულალი წამგებიანი "იაგუარის" და კიდევ რამდენიმე კომპანიის გაყიდვას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა რეფორმისთვის აუცილებელი დიდი თანხების მოზიდვა.

ანალიტიკოსების განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ მიულალი არც "ფორდის" ფინანსური შტოს, კომპანია "ფორდ კრედიტის" გაყიდვას აპირებს, რომელიც ბოლო ხანებში წაგებაზე მუშაობს. არადა, მისი ნაწილობრივი გაყიდვით შესაძლებელი იქნებოდა რამდენიმე მილიარდი დოლარის მიღება (მაგალითისთვის, სწორედ ასე მოიქცა "ჯენერალ მოტორსი", რომელმაც თავისი ფინანსური შტოს ნახევრის გაყიდვით 14 მილიარდი დოლარი მიიღო).

ლონდონური "კომერცბანკის" რჩევით, კარგი იქნება, თუ "ფორდი" შეელევა "ფორდ კრედიტის" აქციებს. ცნობისათვის, ამ კომპანიის საბაზრო ღირებულება დაახლოებით 45 მილიარდ დოლარს შადგენს. იმავე ბანკის ანალიტიკოსების რჩევა ითვალისწინებს "იაგუარის", ან რომელიმე ბრიტანული კომპანიის (ასტონ მარტინი, ლენდ როვერი) გაყიდვასაც.

შეგახსენებთ, რომ "ფორდის" ოფიციალური ცნობით, კომპანიამ წლის პირველ ნახევარში უკვე იზარალა 1.4 მილიარდი დოლარი, რისი ძირითადი მიზეზიც პიკაპებისა და უგზოობის მოდელების გაყიდვების შემცირებაა. ამასთან, წელს კომპანიის გაყიდვები აშშ-ის ბაზარზე დაახლოებით 10 პროცენტით შემცირდა. ეს მაშინ, როცა შარშანდელთან შედარებით, აშშ-ში ახალი ავტომობილების გაყიდვები დაახლოებით 4 პროცენტითაა შემცირებული. შედეგად, დირბორნში ელიან, რომ წლის ბოლოს "ფორდის" წილი აშშ-ის ბაზარზე შარშანდელი 17-დან 14-15 პროცენტამდე შემცირდება.

# საუდის არაბეთი 72 ევროფაიტერს ყიდულობს



საუდის არაბეთი ბრიტანეთისგან 72 ცალ საბრძოლო თვითმფრინავ "ევროფაიტერ ტაიფუნს" შეისყიდის და ეს შენაძენი 6 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტი დაუჯდება. გარდა იმისა, რომ უზარმაზარ თანხას მიიღებს, ბრიტანეთი იმითაც დარჩება მოგებული, რომ ამ კონტრაქტის წყალობით, ქვეყნის ბევრ მოქალაქეს შეუნარჩუნდება სამუშაო.

საუდის არაბეთი კი ახალი "ევროფაიტერ ტაიფუნებით" შეცვლის თავის შეიარაღებაში მყოფ რეაქტიულ "ტორნადოებს". ცნობისათვის, ორივე ავიაგამანადგურებელს ინგლისური თავდაცვითი კომპანია "BAE სისტემზი" აწარმოებს. თვითმფრინავები სწორედ ამ კომპანიის კუთვნილ საწარმოებში აიწყობა იმ მაკომპლექტებლებით, რომლებსაც პროექტ "ევროფაიტერის" მონაწილე ევროპული კომპანიები აწარმოებენ.

ორი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებს შორის უკვე კონტრაქტის ყველა პუნქტი შეთანხმებულია. შესამუშავებელი დარჩა მხოლოდ საწარმოო გეგმა. რაც შეეხება კონტრაქტის ფინანსურ მხარეს, ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით კი, მისი ღირებულება 6-10 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ფარგლებშია.

ცნობისათვის, "ევროფაიტერის" ბრიტანული შტაბ-ბინა ლანკაშირის საგრაფოში, პატარა ქალაქ უორტონში მდებარეობს. "BAE სისტემზის" საწარმოში დაახლოებით 9 000 ადამიანი მუშაობს, რომელთა უმეტესობასაც, კონტრაქტების გაუფორმებლობის შემთხვევაში, სამუშაოს დაკარგვა ემუქრებოდა.

თუ ბრიტანული ბიზნეს-წრეებისთვის ეს კონტრაქტი მისასალმებელი ფაქტია, ბევრი პოლიტიკოსი მას კრიტიკულად აფასებს, რისი ძირითადი მიზეზიც ისაა, რომ მსხვილი სამხედრო კონტრაქტი გაფორმდა ქვეყანასთან, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, მსოფლიოში ერთ-ერთ აუტსაიდერად ითვლება. კრიტიკოსთან არგუმენტი ისაა, რომ ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო და კომპანია "BAE სისტემზი" ბრიტანელ მოქალაქეთა მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე ფინანსდებიან, რის გამოც, მათ უფლება არ ჰქონდათ, აღნიშნული კონტრაქტი ხალხისთვის შეუკითხავად გაეფორმებინათ.

"ამ კონტრაქტით მოგებული მხოლოდ საუდის არაბეთის დესპოტური რეჟიმი დარჩება, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს ადამიანების აბუჩად აგდებაში", - ნათქვამია საუდის არაბეთისთვის სამხედრო საბრძოლო თვითმფრინავების მიყიდვის მოწინააღმდეგეთა განცხადებაში.

ცნობისათვის, პროექტ "ევროფაიტერში" ევროპის თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის კომპანიები მონაწილეობენ. მაგალითად, "BAE სისტემზი" ამზადებს ავიაგამანადგურებლის ფიუზელაჟის წინა და უკანა ნაწილებს, ევროპული აეროკოსმოსური კონსორციუმი EADS-ი და იტალიური "ალენია" კი ფრთებს, კილსა და ელერონებს ამზადებენ. გარდა ამისა, მნიშვნელოვან ელემენტებსა და კვანძებს აწარმოებენ გერმანული, ესპანური, ბერძნული და ბელგიური კომპანიები.

სხვათაშორის, საუდის არაბეთი პირველი არაევროპული ქვეყანაა, რომელიც "ევროფაიტერ ტაიფუნს" შეიძენს. აქამდე ეს გამანადგურებელი მხოლოდ ევროპულ ქვეყნებს - ბრიტანეთს, გერმანიას, ესპანეთს, იტალიასა და ავსტრიას აქვთ შეძენილი.

ცნობისათვის, "ევროფაიტერ ტაიფუნი" ფრანგული ანალოგის, "რაფალის" კონკურენტია. მისი შექმნის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში იქნა მიღებული, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო, პროექტის განხორციელება გაჭიანურდა. შედეგად, "ტაიფუნმა" პირველი საცდელი საბრძოლო ფრენა მხოლოდ 1994 წელს შეასრულა. გარდა ამისა, უსაშველო დაგვიანების გამო, თვიმფრინავი დროს ჩამორჩა, რის გამოც, გზადაგზა საფუძვლანი მოდიფიკაციები ჩაუტარდა. ყოველივემ კი ბიუჯეტის გადახარჯვა და ავიაგამანადგურებლის გაძვირება გამოიწვია.

# რუსეთი ევროპული აეროკოსმოსური გიგანტის თანამფლობელი გახდა

პირველი გვერდიდან

EADS-ი ევროპის უდიდესი და მსოფლიოს მეორე უდიდესი (ბოინგის შემდეგ) აეროკოსმოსური კომპანიაა. მის დამფუძნებლებს - საფრანგეთის მთავრობასა და ევროპის აეროკოსმოსურ კომპანიებს შორის დადებულია პაქტი, რომელიც მკაცრად აკონტროლებს დამფუძნებლებს შორის აქციების განაწილებას. რუსებთან გარიგების შემდეგ კი EADS-ის პრესმდივანმა განაცხადა, რომ აქციების გაყიდვით, აღნიშნული პაქტი არ დაირღვევა. მისი თქმით, "ვნეშტორგბანკი" ადრეც ფლობდა EADS-ის იმ აქციებს, რომლებიც თავის დროზე, თავისუფალ ქსელში გაიყიდა.

რაც შეეხება EADS-ის ინტერესებს რუსეთის ბაზარზე, აქ მთავარი ფაქტორი კვლავ "ბოინგთან" კონკურენციაა. ევროპული კონსორციუმი, რომლის საწარმოო პროგრამა მოიცავს როგორც ავიალაინერების წარმოებას, ასევე აეროკოსმოსურ პროექტებში მონაწილეობას, თავდაცვითი სისტემების შექმნას და ავიაგამანადგურებლების (ევროფაიტერ ტაიფუნი) წარმოებას, ამ ეტაპზე ინტენსიურად ცდილობს რუსეთის ბაზარზე დამკვიდრებას. სხვათაშორის EADS-საც და "ბიონგსაც" რუსეთში პირველ რიგში იზიდავს ის ფაქტი, რომ თავისი პარკის მთლიანად განახლებას იწყებს რუსული ავიაგადამყვანი კომპანია "აეროფლოტი". ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომპანია მალე არაერთ მილიარდ დოლარს დახარჯავს ახალი ლაინერების შესაძენად.

რაც შეეხება რუსული ბანკის ინტერესებს, ის პირველ რიგში იმ გარმოებას უკავშირდება, რომ მალე რუსული კანონები უცხოურ კომპანიებს რუსულ კომპანიებში აქციების 49 პროცენტის შეძენის უფლებას მისცემს. ამ ეტაპზე უცხოურ კომპანიებს რუსული კომპანიების აქციების მხოლოდ 25 პროცენტის ფლობის უფლება აქვთ.

მალე EADS-ი გახდება ახალი რუსული აეროკოსმოსური კონსორციუმის უდიდესი უცხოელი აქციონერი. აღნიშნულ კონსორციუმს, სახელად "რაშენ იუნაიტედ ეარკრაფტ კორპორეიშნ", წლის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი და მასში ერთიანდება ყველა ცნობლი რუსული ავიაკომპანია და საკონსტრუქტორო ბიურო, რომლებსაც როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ავიაციაში და კოსმოსურ ინდუსტრიაში მოღვაწეობის გამოცდილება აქვთ. ამ ეტაპზე EADS-ს ეკუთვნის სამხედრო თვითმფრინავების მწარმოებელ კერძო კომპანია "ირკუტის" აქციების 10 პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ EADS-მა რუსეთის ბაზარზე შეღწევით შეიძლება დიდი მოგება ნახოს, ევროპული ქვეყნები მაინც შეფიქრიანებულნი არიან იმ ფაქტით, რომ კრემლი ნავთობის გაძვირებით მიღებულ არაერთ მილიარდ დოლარს ევროპულ სტრატეგიულ ინდუსტრიაში დააბანდებს და ამით, ამ ინდუსტრიის თანამფლობელიც შეიქნება.

რუსები არც იმას მალავენ, რომ შესაძლოა, მათ EADS-ის აქციების ის რაოდენობა შეისყიდონ, რომლებითაც შესაძლებელი იქნება საკვანძო საკითხების განხილვისას, მათთვის არასასურველი გადაწყვეტილების ბლოკირება (ვეტოს დადება). რუსეთის კანონებით, ასეთ ოდენობად აქციების მეოთხედი არის მიჩნეული. თუმცა, EADS-ი ჰოლანდიაშია რეგისტრირებული, სადაც ვეტოს უფლება იმ აქციონერს აქვს, რომელიც აქციების 30 პროცენტს ფლობს. ცნობისათვის, EADS-ის აქციების მეოთხედის საბაზრო ღირებულება 3.66 მილიარდი ევროა. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, აღნიშნული თემის წამოჭრას საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან შეხვედრისას გეგმავს. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ EADS-ის აქციონერებმა კონსორციუმში რუსეთის წილის გაზრდას წითელი შუქი აუნთონ.

ცნობისათვის, EADS-ის აქციების 15 პროცენტი საფრანგეთის მთავრობას ეკუთვნის, 7.5 პროცენტს ფრანგული მედია-კორპორაცია "ლეგარდერი" ფლობს, 22.5 პროცენტი გერმანულ-ამერიკულ კორპორაცია "დაიმლერკრაისლერის" ხელშია.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე კვლავინდებურად დადებით გავლენას ახდენდა დოლარის კურსის გამყარება და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის ნაკლებად მოსალოდნელობა.

საბოლოოდ, Dow Jones Index-ი 0,02 პროცენტით, 11.563,09 პუნქტამდე გაიზარდა. 0,11 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.238,12 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,11 პროცენტით, 1.321,33 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასი თითქმის არ შეცვლილა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასები თითქმის არ შეცვლილა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 63,42 დოლარი, Light-ის მარკის ნავთობი კი 63,47 დოლარი/ბარელი ღირდა. ნავთობის ბაზარზე გუშინ დაფიქსირებული ერთგვარი შტილი აქტიური სპეკულაციური ვაჭრობის სიმცირემ და აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დიდი მარაგის არსებობამ განაპირობა. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა ექსპერტთა ვარაუდმა 2007 წელს მსოფლიოში ნავთობის მოხმარების დღეში 800 ათასი ბარელით, 28,1 მილიონი ბარელამდე შემცირების შესახებ. შედეგად, "ოპეკის სანავთობე კალათის ფასმა კვლავ მოიკლო და 58,44 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ოქრო და ვერცხლი გაძვირდა, პლატინა და პალადიუმი კი გაიაფდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს ფიუჩერსებზე ფასის მცირე ზრდა დაფიქსირდა და 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 581,5 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა კი 11,2 დოლარი/უნციამდე მოიმატა. სამაგიეროდ, კვლავ გაიაფდა პლატინა და მისმა ღირებულებამ 1163,7 დოლარი/უნცია შეადგინა. ასევე მოიკლო პალადიუმის ფასმა და მისმა ღირებულებამ 314,7 დოლარი/უნცია შეადგინა. ოქროს ფასის მცირე ზრდა გაიაფების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდამ და მოგების ფიქსაციამ განაპირობა. იგივე მიზეზმა და ოქროს გაძვირებამ გავლენა მოახდინა ვერცხლის ღირებულებაზე. რაც შეეხება პლატინას და პალადიუმს, მათი შესყიდვების მიმართ ინტერესი კვლავ მცირე რჩება.

## Scania-მ MAN-ს უარი უთხრა

შვედური ავტომშენებელი კომპანია Scania-ს დირექტორთა საბჭომ გერმანულ ავტოკონცერნ MAN-ს 9,8 მილიარდ ევროდ შერწყმის შესახებ წინადადებაზე უარი უთხრა. როგორც შვედური კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, გერმანულ მხარეს თავიანთი მოსაზრება უკვე შეატყობინეს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ MAN-მა გაავრცელა ინფორმაცია Scania-ს 9,8 მილიარდ ევროდ შეძენის თაობაზე. გერმანული ავტოკონცერნი მზად იყო, შვედური კომპანიის ერთი აქციის სანაცვლოდ მომავალი გაერთიანებული კომპანიის 0,151 აქცია და 38,35 ევრო შეეთავაზებინა. ასე რომ, MAN-მა Scania-ს ერთი აქცია 48 ევროდ შეაფასა. გერმანული ავტოკონცერნის ხელმძღვანელობა აგრეთვე აცხადებდა, რომ ფრანგულ Renault-თან მისი კუთვნილი Scania-ს აქციების 2,8 პროცენტის გამოსყიდვის შესახებ შეთანხმებას მიაღწია.

Scania-ს უმსხვილესი აქციონერები გერმანული ავტოკონცერნი Voikswagen-ი, რომელიც აქციების 18,7 პროცენტს ფლობს და შვედური საინვესტიციო კომპანია Investor AB (აქციების 9,3 პროცენტი) გახლავთ. MAN-ის და Scania-ს შერწყმით წარმოქმნილი გაერთიანებული კომპანია ევროპაში სატვირთო ავტომობილების უმსხვილესი მწარმოებელი იქნებოდა, რომელიც ბაზრის 28 პროცენტს გააკონტროლებდა წელიწადში 14,2 მილიარდი ევროს ოდენობის მოგებას მიიღებდა და სფეროს ამჟამინდელ ლიდერებს Volvო-ს და DaimlerChrysler-ს უკან ჩამოიტოვებდა. გერმანული ავტომშენებელი კონცერნი MAN ევროპაში სატვირთო ავტომობილების სიდიდით მესამე მწარმოებელია. მას ეკუთვნის ისეთი განთქმული ბრენდები, როგორებიცაა: MAN, Neoplan, ERF (დიდი ბრიტანეთი) და Star (პოლონეთი). კონცერნის ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები განლაგებულია გერმანიაში, ავსტრიაში, თურქეთში, პოლონეთში და დიდი ბრიტანეთში. Scania-ს კი სატვირთო ტექნიკის წარმოების ევროპულ სექტორში მეოთხე ადგილი უკავია.

## Telecom Italia-მ AOL Germany იყიდა

იტალიის უმსხვილესმა სატელეკომუნიკაციო ოპერატორმა Telecom Italia-მ Time Warner-ის გერმანული განყოფილება AOL Germany 675 მილიონ ევროდ (855 მილიონი დოლარი) იყიდა. ამგვარად, Telecom Italia-ს ინტერნეტ-აბონენტების რაოდენობა 2,4 მილიონით, 3,2 მილიონამდე გაიზრდება. Telecom Italia-მ, რომელიც იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და ჰოლანდიურ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მოღვაწეობს, კარდინალური ცვლილებების გატარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მიმდინარე წლის დასაწყისიდან მისი აქციების ფასმა 11 პროცენტით მოიკლო.

# საქართველოს მთავრობამ ეკონომიკურ ზრდას სტიმული უნდა მისცეს

პირველი გვერდიდან

**- როგორი პროცესები და ცვლილებებია მოსალოდნელი მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში უახლოეს წლებში? რამდენად შეეხება გლობალური ეკონომიკური პროცესები საქართველოს?**

- მე დავასახელებდი ორ პროცესს, რომლებიც საქართველოზე უახლოეს ერთ-ორ წელიწადში იმოქმედებს. პირველი - ფასები ენერგორესურსებზე. თუ ნავთობზე ფასი კვლავ ერთ ბარელზე 70-80 დოლარს მიაღწევს, ეს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, საქართველოზეც იმოქმედებს. თუ საქართველოსთვის ბუნებრივ აირზე ფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება, ეს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებზე დიდ გავლენას მოახდენს.

მეორე - მსოფლიოში მრავალი დისბალანსი არსებობს. ძირითადად, ესაა სავაჭრო და გაცვლითი კურსის დისბალანსი. მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, შემდეგია: როგორ შეძლებს აშშ თავისი სავაჭრო დეფიციტის და მიმდინარე ანგარიშის დაბალანსებას? თუ ეს დოლარის გაუფასურების ხარჯზე მოხდა, ისმის კითხვა - როგორ იმოქმედებს აღნიშნული პროცესები აშშ-ს სავაჭრო პარტნიორებზე?

**- სსფ-ს აქვს "კომპენსაციური დაფინანსების მექანიზმი" იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომელთაც დროებით შეუმცირდათ საექსპორტო შემოსავლები. რამდენად შეიძლება ასეთი დაფინანსება მიიღოს საქართველომ რუსეთის მხრიდან ქართული პროდუქციის იმპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით?**

- არა მგონია. საგადამხდელო ბალანსთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების არსებობის შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ გაიზარდოს საქართველოს დახმარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის არსებული პროგრამის (PRGF) ფარგლებში. ანუ, საქართველო მიიღებს უფლებას, მეტი რესურსი მოითხოვოს არსებული პროგრამის ფარგლებში. თუმცა, მე ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. ქართული ღვინის და მინერალური წყლების აკრძალვის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე შედარებით მცირეა. ამას გარდა, საქართველოს პრივატიზაციის პროცესისგან მიღებული დიდი რაოდენობით საერთაშორისო რეზერვები გააჩნია. ამჟამად საქართველო კარგადაა დაცული საგარეო შოკისგან, რადგან საკმაოდ დიდი რაოდენობით რეზერვი აქვს.

**- საქართველო მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დასახელდა ნომერ პირველ ქვეყნად რეფორმების გატარების კუთხით. დასრულდა თუ არა საქართველოში რეფორმირების ძირითადი ეტაპი და როგორ აისახება ეს სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე ქვეყანაში?**

- ბოლო სამი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ვფიქრობ, რომ ბოლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გატარდა. სწორედ წარმატებულმა რეფორმებმა მოუტანა საქართველოს საერთაშორისო აღიარება. რეფორმირებას კიდევ მრავალი რამ საჭიროებს - საგადასახადო უწყება, საგადასახადო არბიტრაჟის სისტემა; სასამართლო და სამართალდამცავი მექანიზმები. გარკვეული კითხვები კერძო საკუთრების დაცვის მიმართაც არის. სწორედ ეს საკითხები დგას მთავრობის დღის წესრიგში უახლოეს წლებში.

რთული შესაფასებელია, თუ რა გავლენა იქონია ამ რეფორმებმა ქვეყნის სოციალურ ვითარებაზე. ძნელია სიღარიბის და უმუშევრობის მაჩვენებლების შეფასება. ჩემი აზრით, ამჟამად საქართველოსთვის მთავარია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. ეკონომიკური ზრდა არის უმუშევრობის და სიღარიბის შემცირების წინაპირობა. მთავრობამ სიღარიბის შესამცირებლად გარკვეული სოციალური პროგრამები უნდა განახორციელოს, თუმცა ძირითადი ყურადღება ეკონომიკურ ზრდას უნდა დაეთმოს.

საქართველოს ეკონომიკა ორი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ვითარდებოდეს. პირველი: აქცენტი უნდა გაკეთდეს ექსპორტზე; საქართველოს ეკონომიკა ძალიან მცირეა და არ შეუძლია ხელი შეუწყოს რომელიმე წარმოების განვითარებას მხოლოდ შიდა ბაზრის მიერ წარმოქმნილი მოთხოვნის გზით. შესაბამისად, მეწარმეები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ექსპორტზე. მეორე: ეკონომიკური აღმავლობა კერძო სექტორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს უნდა ეფუძნებოდეს. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს ზრდის სტრატეგიის ძირითად თავისებურებებს. აქ კი ჩნდება მთავარი კითხვა: როგორი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარება?

**- საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ინფლაციის მაჩვენებელი წელს 10%-ს არ გადააჭარბებს, მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი კი ორნიშნა ციფრს მიაღწევს. სსფ-ს პროგნოზი ნაკლებად ოპტიმისტურია. რა შეიძლება მოხდეს წლის ბოლომდე?**

- დღემდე საქართველოს მთავრობის მაკროეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო. შესაბამისად, მთავრობა დარწმუნებულია, რომ არსებული სიტუაციის და პრობლემების კორექტირებას შეძლებს. რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, მე ბევრს ვერ გეტყვით. ჩვენ გავეცანით მთავრობის პროგნოზებს, მაგრამ ჩვენი ვარაუდები, როგორც წესი, უფრო კონსერვატიულია და სამთავრობო პროგნოზებზე დაბალია - 7-8 პროცენტის ფარგლებში.

ინფლაციის წინასწარ განსაზღვრა ძნელია. თუ შეთანხმებული მოქმედების გეგმა რეალიზებული იქნა, ვვარაუდობ, რომ ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდება. ბოლო 12 თვის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელი 13,4 პროცენტს შეადგენდა, რომლის შემცირება შესაძლებელია 10 პროცენტამდე. ჩვენ მთავრობას ინფლაციაზე კონტროლის დასამყარებლად საჭირო ზომები შევთავაზეთ. მთავრობასთან რამდენიმე ნაბიჯი უკვე შევათანხმეთ. სსფ-ს აღმასრულებელი საბჭო აღნიშნულ პროგრამას 29 სექტემბერს განიხილავს.

ეკონომიკა ისეთი ფენომენი არ არის, რომლის ჯერ აჩქარება და შემდგომ კი შეჩერება შეიძლება. ეს არ არის ავტომობილი. ეკონომიკის მართვა გაცილებით უფრო ფაქიზი პროცესია. ამჟამად ჩვენ ამ მართვის პროცესის სირთულეებს ვაწყდებით.




## გერმანიაში ქართული ღვინის პრეზენტაცია გაიმართება

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული საზოგადოება "ევრო-კავკასია" ტურიზმის საერთაშორისო სკოლასთან ერთად, 3-7 ოქტომბერს, ღონისძიებას "საქართველო - ღვინის სამშობლო" გამართავს. პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს სოფლის მეურნეობიდან აცნობეს, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას მაღალი რანგის სტუმრები, ბიზნესმენები და ტურიზმის სფეროში დასაქმებული პირები მიიღებენ. საღამოზე ქართული ღვინის პრეზენტაცია და დეგუსტაციაა დაგეგმილი. გაიმართება შეხვედრა გერმანიის ღვინის მწარმოებლებთან და იმპორტიორებთან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მსგავსი სახის ღონისძიებაში მონაწილეობა ევროპის ქვეყნებში ქართული ღვინის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## კახეთში ყურძენს 50-მდე ქარხანა იბარებს

"ნაფარეული", "წინანდალი 21-ე საუკუნე", "აკურა", "ოკამი", "თელიანი ველი", "ხირსა", "ქართული პროდუქტი" - ეს იმ კომპანიების არასრული სიაა, რომლებმაც კახეთში ყურძნის ჩაბარებაზე განაცხადი რთველის მიმდინარეობასთან დაკავშირებით შექმნილ ცენტრალურ შტაბში გააკეთეს. ამის შესახებ "რადიო ჰერეთი" იუწყება. "რთველის შტაბის" ცნობით, რომელიც გურჯაანში სასტუმრო "რეზშია" განთავსებული, ამჟამად ყურძენს 50-მდე ქარხანა იბარებს. შტაბის კოორდინატორს გიორგი ცხაკაიას ინფორმაციით, ყველაზე აქტიურად ყურძენს ქარხნები და კიდევ რამდენიმე კომპანია იბარებს. ცხაკაიას განცხადებით, კომპანია "ქართულ პროდუქტს" ყველაზე დიდი მოთხოვნა აქვს. ქარხანა, რომელიც კონცენტრატებს ამზადებს, 20 000 ტონა ყურძენს ჩაიბარებს. კახეთში წელს დაახლოებით 150 000 ტონა ყურძენი დაიკრიფება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ 15 ობიექტი გამოიტანა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ორშაბათს საპრივატიზებოდ 15 ობიექტი გამოიტანა. სამინისტროს ინფორმაციით, ობიექტების საერთო საწყისი გასაყიდი ფასი 2,451 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მათ გასაყიდად აუქციონი 19 ოქტომბერს გაიმართება. ყველაზე ძვირად შეფასებული ობიექტი ბათუმში გაზეთ "აჭარის" რედაქციის ყოფილი შენობაა. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 1 მლნ აშშ დოლარია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბათუმში ახლო მომავალში თევზის სარეწაო და სასათბურე მეურნეობა გაიხსნება

ბათუმში ახლო მომავალში თევზის სარეწაო და სასათბურე მეურნეობა გაიხსნება, ამის შესახებ აჭარის მთავრობის მეთაურმა ლევან ვარშალომიძემ ტრაპზონის გუბერნატორთან ხუსეინ იავუზდმერთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. **"თურქულ მხარესთან მნიშვნელოვან პროექტებზე ვისაუბრეთ. ესენია სასათბურე მეურნეობების განვითარება, რომლის გამოცდილებაც ტრაპზონელებს საკმაო აქვთ. ისინი ორ სათბურს აჭარის მთავრობას ჩუქნიან და პერსონალის მომზადებაშიც გვეხმარებიან. ასევე მნიშვნელოვანია თევზის სარეწაო მეურნეობების შექმნა, რომლებიც ზღვაშია განვითარებული, თურქული მხარე აქაც ინტენსიურად დაგვეხმარება,"** - აცხადებს აჭარის მთავრობის მეთაური ლევან ვარშალომიძე. თურქები მზად არიან, პირველ ეტაპზე თავად ჩაერთონ სასათბურე და თევზის სარეწაო მეურნეობის მუშაობაში და ქართველი სპეციალისტების გადამზადების შემდეგ მთელი სამუშაოები მათ გადააბარონ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ევრობანკი რუსული ავიაკომპანიის "სკაი ექსპრესის" შექმნაში მონაწილეობს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მონაწილეობის მიღებას გეგმავს პირველ მცირებიუჯეტიან რუსულ ავიაკომპანია "სკაი ექსპრესის" (Sky Express) შექმნაში. როგორც ბანკის საინფორმაციო სამსახურში განაცხადეს, ბანკი ავიაკომპანიის ერთ-ერთი აქციონერი იქნება. თავად ავიაკომპანია კი კერძო, მათ შორის, რუსი ინვესტორების ფინანსებით შეიქმნება. ამ ეტაპზე კომპანიის საწესდებო კაპიტალი 48 მილიონი დოლარია. პროექტი უახლოეს მომავალში დასრულდება და, სავარაუდოდ, 20 მილიონი ევრო დაჯდება. **ჯი-ეიჩ-ენი**.

## ამინდი

| | 19/09 | 20/09 | 21/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 22 | 23 | 20 |
| რიგა | 21 | 18 | 19 |
| ვილნიუსი | 21 | 19 | 18 |
| მოსკოვი | 20 | 20 | 20 |
| მინსკი | 22 | 20 | 21 |
| პარიზი | 18 | 21 | 22 |
| რომი | 23 | 26 | 27 |
| ლონდონი | 19 | 21 | 23 |
| მადრიდი | 26 | 26 | 26 |
| ბონი | 18 | 18 | 26 |
| ვარშავა | 23 | 21 | 22 |
| ათენა | 28 | 28 | 26 |
| ბერნი | 19 | 23 | 25 |
| ამსტერდამი | 17 | 18 | 22 |
| ოსლო | 17 | 13 | 16 |
| ანკარა | 27 | 28 | 25 |
| ვარნა | 23 | 25 | 23 |
| დელი | 47 | 46 | 41 |
| ტოკიო | 31 | 32 | 29 |
| კოპენჰაგენი | 18 | 17 | 25 |
| ბაქო | 23 | 26 | 27 |
| ერევანი | 29 | 32 | 31 |
| ასტანა | 4 | 8 | 14 |
| ჰელსინკი | 18 | 14 | 15 |
| დუბლინი | 13 | 15 | 14 |
| ლისაბონი | 26 | 26 | 20 |
| პრაღა | 18 | 21 | 22 |
| სოფია | 20 | 23 | 19 |
| ბუდაპეშტი | 19 | 22 | 25 |
| ბუხარესტი | 22 | 23 | 23 |

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმატებულ რეფორმატორ ქვეყნებს კვოტებს გაუზრდის

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) ცალკეული სახელწიფოებისთვის კვოტების გაზრდის საკითხს აყენებს.

"კვოტა, მისაღები სესხების მოცულობა, ქვეყნის მიერ გადახდილი საწევროს მიხედვით დგინდება. საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი 150,3 მლნ CDR-ით არის განსაზღვრული," - განუცხადა GBC-ს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) წარმომადგენელმა გიორგი ლალიაშვილმა.

სსფ-ს მართვის სფეროში მოსალოდნელ ცვლილებებზე მსოფლიო ბანკისა და სსფ-ს ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების მმართველთა შეხვედრაზე გაცხადდა. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცნობით, ნიდერლანდების ჯგუფის შეხვედრაზე, განხორციელებული რეფორმების მიხედვით, ყველაზე წარმატებულად საქართველო, რუმინეთი და ხორვატია დასახელდა.

მისი ინფორმაციით, კვოტები სსფ-მ უკანასკნელად 2004 წლის 4 ივნისს დაადგინა. საქართველო და მოლდოვა ყოველწლიურად 10 000 CDR-ის ოდენობის საწევროს იხდის.

მოლდოვას კვოტაა - 123,2 მლნ CDR, სომხეთის - 92 მლნ CDR, უკრაინის - 1,372 მლნ CDR, ხორვატიის - 365,1 მლნ CDR, რუმინეთის - 1,3 მლრდ CDR.

სებ-ის ცნობით, ნიდერლანდების მთავრობის ვიცე-პრემიერმა გერიტ ზალმმა აღნიშნა, რომ საქართველო რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებით გამოირჩევა. საქართველოსთვის კვოტით განსაზღვრული სახსრებიდან ათვისებულია 56 მლნ CDR.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების ჯგუფში 12 ქვეყანაა გაერთიანებული: ნიდერლანდები, საქართველო, ისრაელი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, ხორვატია, კვიპროსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, სომხეთი, მოლდოვა, მაკედონია.

CDR არის საანგარიშო ერთეული (სესხების სპეციალური უფლება), გამოითვლება სავალუტო კალათის მიხედვით, რომელშიც შედის: აშშ დოლარი, იაპონური იენი, ევრო და ბრიტანული გირვანქა სტერლინგი. CDR-ის კურსი ცვალებადია. ამ დროისათვის 1 CDR = 1,5 $.

**ჯიბისი**

## ზურაბ ნოღაიდელმა სინგაპურში საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა

დასრულდა საქართველოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი სინგაპურში, სადაც მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამართული კონფერენცია თემაზე "მსოფლიოში ბიზნესის წარმოებისა და რეფორმების შესახებ".

კონფერენციაზე სპეციალური სტუმრის რანგში, როგორც რეფორმატორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ნოღაიდელი იყო მიწვეული, რომელმაც კონფერენციის მონაწილეებს საქართველოში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე განხორციელებული რეფორმები გააცნო; კერძოდ, ისაუბრა ბიზნესის რეგისტრაციის, ლიცენზიებისა და ნებართვების, შრომითი კანონმდებლობის, საგარეო ვაჭრობის, ფინანსურ სექტორსა და სამართლებრივ სფეროში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გამოსვლის დასასრულს კი მომავალში განსახორციელებელ რეფორმებზეც ისაუბრა.

სხვა რეფორმებთან ერთად აუდიტორიის განსაკუთრებული ყურადღება მიმდინარე სამართლებრივი სფეროს რეფორმამ გამოიწვია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეხვედრები გამართა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მენეჯერთან, თუნელთან და მსოფლიო ბანკის გენერალურ დირექტორთან, ვილერთან. საუბრის ძირითადი თემა იყო კორპორაციის მიერ გამოქვეყნებული, კვლევის შედეგები და მომავალში თანამშრომლობის უახლოესი გეგმები (მათ შორის, გზების რეაბილიტაცია/მშენებლობისა და ენერგეტიკის მიმართულებით).

ვიზიტის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრი სინგაპურის პრეზიდენტსაც შეხვდა.

**მედიანიუსი**

## ეროვნულ ბანკში სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველი აუქციონი გაიმართა

საქართველოს ეროვნული ბანკში სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველი 28-დღიანი აუქციონი გაიმართა. აუქციონზე 1.1 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა, რომლებიც სამმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. მინიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა 9,95%, მაქსიმალურმა - 12%, ხოლო საშუალო შეწონილმა - 11,07% შეადგინა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი, მოქნილი და თანამედროვე ინსტრუმენტია. საწყის ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკი ერთ და სამთვიანი ფასიანი ქაღალდების ემისიას განახორციელებს. ამ ინსტრუმენტის ამოქმედებით საქართველოს ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის უფრო ეფექტიანად გატარების შესაძლებლობა მიეცემა. სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების გამართვა მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ასევე ქვეყნის ფულადი ბაზრების განვითარებისათვის. ამ გზით კომერციულ ბანკებს სახსრების ურისკოდ და მაღალლიკვიდურად დაბანდების საშუალება უჩნდებათ, რაც მათ თავიანთი საკრედიტო პორტფელების ოპტიმალურად და ეფექტურად დივერსიფიკაციის გარანტიას აძლევს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია ადგენს სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების თარიღს, ვადიანობას, ემისიის მოცულობას და მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს, რომლის ზემოთაც არ შეიძლება სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა. სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ფასი 1 000 ლარს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელ ფუნქციას შეასრულებს. კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა ეძლევათ, მეორად ბაზარზე გაიტანონ და ერთმანეთში ივაჭრონ საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით. ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს მოსახერხებელ სავაჭრო პლატფორმას შესთავაზებს. ისინი ასევე უფლებამოსილნი არიან, გამოიყენონ საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები, როგორც გირაო ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე და რეპო ოპერაციების დროს.

სადეპოზიტო სერტიფიკატი არის ეროვნული ვალუტით დენომინირებული ფასიანი ქაღალდი, რომელსაც არამატერიალიზებული ფორმა აქვს. სადეპოზიტო სერტიფიკატების ღია, მთლიანად ავტომატიზებული აუქციონები ჩატარდება საქართველოს ეროვნულ ბანკში კვირაში სამჯერ, ერთი და სამი თვის ვადიანობის მქონე რესურსებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციით იქნება აღჭურვილი. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, აუქციონებში მონაწილეობა მხოლოდ კომერციულ ბანკებს შეეძლებათ.

აუქციონი ჩატარდება მრავალი ფასის მეთოდით (მეთოდი, რომლის დროსაც აუქციონში გამარჯვებული მყიდველი დაკმაყოფილდება განაცხადში მის მიერ მითითებული ფასით). სერტიფიკატების გაყიდვა პირველად აუქციონზე მოხდება დისკონტით, ხოლო აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაიფარება ნომინალური ღირებულებით. საქართველოს ეროვნული ბანკი წინასწარ, სამი სამუშაო დღით ადრე შეატყობინებს კომერციულ ბანკებს აუქციონის ჩატარების თარიღს და, აგრეთვე, აუქციონზე განთავსებული ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობას.

აუქციონის შედეგები მყისიერად, აუქციონის დამთავრებისთანავე ცნობილი ხდება მონაწილე ბანკებისათვის. შედეგების ამსახველი ინფორმაცია ასევე ოპერატიულად განთავსდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე.

**24 საათი**